ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 4 მაისი, 2011 №104 (5485) ფასი: 30 თეთრი

26 აპრილიდან

„ახალი თაობის“

საალდგომო

საჩუქარი ახალ თაობას.

საყმაწვილო ბიბლიოთეკის

8 — ტომეული.

ძალიან დაბალ ფასად! წიგნი

და გაზეთი ერთად 2 ლარი.



# ვინ ესროლა ვასილ სანოძეს?!

„თუ სანო ის თვითმკვლელობის ფაქტთან გვაქვს საქმე, მას ამ მდგომარეობამდე ხელისუფლება მიიყვანდა“ გვ.2



## ქართულ პარტიას „მაესტროსთან“ არაფერი აკავშირებს

გვ.5

ვისია „იმედი“ და „რუსთავი 2“?





გვ.7

## რატომ არ იცავენ საქართველოში ჟურნალისტების უფლებებს



გვ.3

## ნინო ბურჯანაძე შეიძლება დააპატიმრონ





## ქართულმა პროდუქციამ ჯერ ქართული ბაზარი უნდა დაიბრუნოს

ჯონდი ბაღათურია სოფლის მეურნეობის გადასარჩენად 159 მილიონს ითხოვს გვ.4



## მოსამართლე საპატრულოს უფროსის ყურმოჭრილი მონა აღმოჩნდა

გვ.2

ვისი ბრ ანებით დააკავეს ირაკლი ციკოლია

**ირაკლი ლომაიამ გაზეთ „კვირის პალიტრასა“ და ჟურნალისტ ხათუნა პაიჭაძეს ბოდიში მოუხადა**



გვ.3

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

**„იმედმა“ გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გააშუქოს**

გვ.5



## რატომ არ იკლებს ფასები

ინფლაციური პროცესები ეკონომიკის რეალურ ზრდას ხელს უშლის გვ.6



ISSN 1987-9385

6 **ნონა გაფრინდაშვილს — 70 წლის, გია ბურჯანაძეს კი 50 წლის იუბილეს ულოცავენ**

4 **ყირგიზეთში მომხდარი მოვლენები დანაშაულად მიიჩნიეს**

5 **ირაკლი ალასანია ბათუმში შეხვედრებს მართავს**

6 **სირიაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდებენ**

შედით საიტზე atb.ge



# მოსამართლე საპატრულოს უფროსის ყურმოჭრილი მონა აღმოჩნდა

## ვისი ბრ ანებით დააკავეს ირაკლი ციკოლია

ქეთი ხომერიკი

**„თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭოს წევრი, ყოფილი პოლიტპატიმარი, ირაკლი ციკოლია, რომელიც 4 აპრილს წინააღმდეგობის მო რაობის მიერ პოლიტპატიმრების მხარდასაჭერად გამართულ აქციაზე 19 მონაწილესთან ერთად დააკავეს და ახლახან გამოვიდა, „ახალ თაობას“ უყვება ყველაფერს, რაც დაკავებამდე და მის შემდეგ გადახდა თავს. ციკოლიას თქმით, ის საპატრულო პოლიციის ხელმ ღვანელ გიორგი გეგეჭკორის დავალებით დააკავეს და 29-დღიანი პატიმრობაც მისი სურვილით შეუფარდეს.**

ირაკლი ციკოლია:

— ყველას კარგად ახსოვს, რომ 4 აპრილის მშვიდობიანი და სანქცირებული აქცია რუსთაველის ძეგლთან დაიწყო და შემდეგ უზენაესი სასამართლოს შენობისკენ წავედით. აქცია დაახლოებით ნახევარი საათი მიმდინარეობდა. აქციის დასრულებიდან დაახლოებით 5 წუთში მოულოდნელად ჩვენი „საამაყო“ პატრულის თანამშრომლები გამოჩნდნენ, რომლებიც მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს დაერივნენ. მე აქციის მონაწილეებისგან მოშორებით, დაახლოებით 20-30 მეტრში ვიდექი, როდესაც ჩამავლეს ხელი და სხვა დაკავებულ ადამიანებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე გადამიყვანეს. დაკავების დროს 9 აპრილი და როდიონოვი მახსენდებოდა. ამაზე უარესი როდიონოვს არც არაფერი გაუკეთებია. მაშინ ქართველების ამწიოკებლებს რუსეთისა და როდიონოვის რაზმები ერქვათ, დღეს მერაბიშვილისა და სააკაშვილის პატრული ჰქვიათ.

— ***ბრალი პოლიციის წინააღმდეგობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის წაგიყენეს, არადა, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობა არ გაგიწევია და კვერცხებიც არავისთვის დაგიშენია, ხომ? შენი აზრით, რატომ მოხდა მაინცდამაინც შენი დაკავება მაშინ, როდესაც აქციის მონაწილეებისგან საკმაოდ მოშორებითაც კი იდექი?***

— მე კვერცხები არც არავისთვის დამიშენია, პოლიციისთვისაც არანაირი შეურაცხყოფა არ მიმიყენებია და არც წინააღმდეგობა გამიწევია. უდანაშაულო ადამიანები სულ ტყუილად დაგვაპატიმრეს. ჩემი ინფორმაციით, საპატრულო პოლიციას დავალებული ჰქონდა, ვინ უნდა დაეკავებინა და ვინ — არა. მათი მხრიდან იმ პოლიტიკური პარტიის წევრების მიმართ მიმდინარეობს ტერორი, რომლებიც სააკაშვილის პირსისხლიან რეჟიმს რეალურად ებრძვიან. ჩვენ 5 საათის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანაში ვყავდით გამოკეტილები. ჩვენი „საამაყო“ საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი, გეგეჭკორი, იგივე როდიონოვი, რამდენჯერმე მოვიდა ჩვენთან, დაგვხედა, ცინიკურად გვიყურებდა. სასამართლოს შენობაში დაახლოებით 12-ის ნახევარზე გადაგვიყვანეს. იცით, სრულიად სხვა ადამიანებმა დაგვაკავეს, სასამართლოში მომხსენებლებად კი სულ სხვა ადამიანები მოიყვანეს — ადამიანები, რომლებიც პირდაპირ გეგეჭკორის მითითებებს ასრულებდნენ. გეგეჭკორმა ჩვენი თანდასწრებით უბრძანა პოლიციის თანამშრომლებს, ვისთვის რა უნდა შეეფარდებინათ. ამას ჩემი ყურით ვისმენდი. ფორმალური სასამართლო 5 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, მოსამართლე კობა გოცირიძეც გეგეჭკორის დავალებებს ასრულებდა. რაც გეგეჭკორმა ბრძანა, მოსამართლემაც ზუსტად ის შეასრულა, ანუ ის სასჯელები ჩამოგვირიგა, რომლებიც გეგეჭკორს სურდა.



— ***ანუ თქვენს ბედს რეალურად არა მოსამართლე, არამედ საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი გიორგი გეგეჭკორი წყვეტდა?***

— დიახ, კობა გოცირიძე მოსამართლე კი არა, გეგეჭკორის ყურმოჭრილი მონა აღმოჩნდა. ჩვენმა ადვოკატებმა ფირი მოითხოვეს, რომელიც როგორც საპატრულო პოლიციას, ასევე ჟურნალისტებსაც ჰქონდათ, თუმცა მოსამართლემ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. რას დააკმაყოფილებდა, ამ ფირში ხომ რეალობა, ანუ უდანაშაულო ადამიანების დაკავება იყო აღბეჭდილი. ათივე ადამიანს ერთსა და იმავე რამეს გვდებდნენ ბრალად, თუმცა, გეგეჭკორის ნება-სურვილით 6 დაკავებულს 400-ლარიანი ჯარიმა დააკისრეს, სამს 20-დღიანი პატიმრობა შეგვეფარდეს, გენადი კეკელიას — 25-დღიანი. ფორმალური სასამართლო ღამის 5 საათზე დასრულდა და დროებითი დაკავების იზოლატორში გადაგვიყვანეს, სადაც ამ იზოლატორის უფროსი, ცნობილი ჯალათი, უდანაშაულო ადამიანების მკვლელი, დათო კაკაურიძე დაგვხვდა. კაკაურიძემ პირად კონტროლზე აგვიყვანა და სიტყვიერი შეურაცხყოფა არაერთხელ მოგვაყენა. ის ჩვენთან ოპოზიციის ლიდერებსაც აგინებდა, ბურჯანაძე-გაჩეჩილაძეს ცოცხალი და მკვდარი ამოუტრიალა. 4 ადამიანი 13 კვადრატულ მეტრში გამოგვკეტეს, სადაც არც ჰიგიენური საშუალებები იყო და წყალი დღეში ერთხელ, 20 წუთით მოდიოდა. 4 ადამიანს დღეში ერთ პურსა და ერთ ძეხვს გვაძლევდნენ, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები დიდი რაოდენობით საკვებს გვიგზავნიდნენ. ერთი ადამიანი ავადმყოფი იყო, რომელიც რამდენჯერმე გახდა ცუდად. ჩვენ ექიმი მოვითხოვეთ და ექიმის ნაცვლად ბადრაგისგან შეურაცხყოფა მივიღეთ. არანაირი ექიმი არ მოიყვანეს, არადა, ადამიანი ძალიან ცუდად იყო. მინდა გითხრათ, რომ ასევე სასტიკად ეპყრობიან ერთ-ერთი დაკავებულის ძმას, პოლიტპატიმარ ზვიად ხარებავას. ამ ადამიანს ერთ მილიონ დოლარს ედავებიან. ეუბნებოდნენ, ზურაბ ნოღაიდელის წინაღმდეგ ცრუ ჩვენება მიეცი და გაგათავისუფლებთო. ზვიად ხარებავა პირადად ზურაბ ადეიშვილის პატიმარია.

— ***ამბობთ, ერთსა და იმავე რამეს გვდებდნენ ბრალადო. თქვენი აზრით, სხვადასხვა სასჯელი რატომ ჩამოგირიგეს?***

— დევნილთა გამოსახლების დროს რამდენიმე აქციის ორგანიზატორი ვიყავი და ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო. დაკავებიდან ორი დღით ადრე კი ფოცხოში ვიმყოფებოდი დევნილებთან და მათ თბილისში ჩამოყვანს ვაპირებდი. ჩვენ ნანა ფიფიას მკვლელ სუბელიანის უწყებასთან კარვების გაშლას ვგეგმავდით. აი, ესეც გახდა ჩვენი დაკავების ერთ-ერთი მიზეზი. ფოცხოში დევნილები შიმშილით იხოცებიან და მათ თბილისში ჩამოყვანა გვთხოვეს, გვითხრეს, ჩამოსვლა გვინდა და მგზავრობის ფული არ გვაქვსო. ისინი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ არც მიწის ნაკვეთი აქვთ, არც სამსახური და თვიდან თვემდე 22 ლარის ამარა არიან. 22 ლარით როგორ უნდა იცხოვრონ, ხომ ვერ მეტყვით? იქ არც სკოლაა და არც საავადმყოფო. ზუგდიდში რომ ჩავიდნენ, მგზავრობა 5 ლარი დაუჯდებათ და ამას, ბუნებრივია, ვერ ახერხებენ. მათ ასევე არც წყალი, არც ელექტროენერგია და არც ბუნებრივი აირი არა აქვთ. იქ 40 ოჯახიდან 18-ღაა დარჩენილი და ისინიც კარგა ხნის ჩამოსულები იქნებოდნენ, მგზავრობის ფული რომ ჰქონოდათ.

— ***ამ ადამიანების თბილისში ჩამოყვანას ახლაც აპირებთ?***

— დიახ, ამ ადამიანებს თბილისში აუცილებლად ჩამოვიყვანთ. ფოცხოში მცხოვრები დევნილები 21 მაისისთვის თბილისში იქნებიან. მაინცდამაინც 21 მაისს იმიტომ, რომ ეს დღე რეჟიმთან ბრძოლის დაწყების თარიღად გამოცხადდა. „ახალი თაობის“ საშუალებით მინდა მივმართო აფხაზეთის მთავრობას, რომლის მოვალეობაც დევნილ მოსახლეობაზე ზრუნვაა და ვუთხრა მათ, რომ კეთილი ინებონ და იზრუნონ ამ ადამიანებზე. სხვათა შორის, ერთ-ერთი დაკავებული იყო ადა მარშანია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ამაზე აფხაზეთის მთავრობა ხმას არ იღებს. აფხაზეთის მთავრობა მოქმედებს პრინციპით: დუმილი იცავს სკამს და არის კუბო, რომელსაც დევნილები და არა მარტო ისინი ძალიან მალე თავსახურს დააფარებენ და ენგურს გააყოლებენ. დღეს ბალაფში უფრო მეტს აკეთებს დევნილი მოსახლეობისთვის, ვიდრე თბილისში მოკალათებული აფხაზეთის მთავრობა. აქვე მინდა, ერთი რამ გითხრათ — ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს ხანებში 180 ჩასახლებიდან დევნილთა გამოსახლება იგეგმება. კერძოდ, გახოკიძის №8-დან ვარკეთილში მდებარე ე.წ. აგურის სახლებიდან,გურამიშვილის №64-დან და ა.შ. დარწმუნებული ვარ, აფხაზეთის მთავრობა ხმას ამაზეც არ ამოიღებს.

— ***თუმცა, სუბელიანის უწყებამ გავრცელებული ინფორმაცია დევნილების მოსალოდნელი გამოსახლების შესახებ უარყო...***

— კობა სუბელიანი მსგავს ინფორმაციებს ადრეც უარყოფდა, მეორე დღეს კი დევნილებს ასახლებდა.

# ვინ ესროლა ვასილ სანოძეს?!

შორენა კოწოწაშვილი

**შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე გუშინ, გამთენიისას, საკუთარ ბინაში, რომელიც თბილისში წერეთლის გამზირზე მდებარეობს, დაჭრილი ნახეს. ოფიციალური ინფორმაციით, სანოძეს ტაბელური იარაღი გაუვარდა, თუმცა, ამ ვერსიას სანოძის მეზობლები ეჭვქვეშ აყენებენ და აცხადებენ, რომ მათ გასროლის ხმა არ გაუგიათ.**



არსებობს მეორე ვერსიაც, რომ ვასილ სანოძემ თვითმკვლელობა სცადა. ამის მიზეზი კი გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგში გამოტანილი გადაწყვეტილებაა. გავრცელებული ინფორმაციით, სანოძე დილის ოთხ საათამდე მეგობრებთან ერთად რესტორან „პურის სახლში“ იმყოფებოდა, საიდანაც სახლში ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნდა. სუფრაზე იმყოფებოდნენ აგრეთვე ფრანგი სტუმრებიც.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ვასილ სანოძეს სახლში მისვლის შემდგომ ტაბელური იარაღი გაუვარდა, თუმცა არაოფიციალური ინფორმაციით, სანოძე, რომელიც სახლში ნასვამი დაბრუნდა, საფეთქელთან მიბჯენით ნასროლი ტყვიით არის დაჭრილი.

აღსანიშნავია, რომ სანოძე დროულად იქნა გადაყვანილი ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, სადაც დილის 7 საათზე სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. გუშინ მთელი დღის განმავლობაში ღუდუშაურის კლინიკაში გაძლიერებული დაცვა იყო. კლინიკაში მისულ პაციენტებს და მნახველებს ექიმებამდე დაცვის თანამშრომლები არ უშვებდნენ. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ვასილ სანოძე სანდრო გირგვლიანის გახმაურებულ საქმესთან ასოცირდება და ის გირგვლიანის ოჯახის და ადვოკატების მხრიდან სახელდებოდა, როგორც გირგვლიანის მკვლელობის ერთ-ერთი შემკვეთი.

შეგახსენებთ, რომ სანდრო გირგვლიანი 2005 წლის 27 იანვარს ოქროყანის ტყეში აწამეს, რის შემდეგაც ის გარდაიცვალა. ამ გახმაურებული მკვლელობიდან რამდენიმე ხნის შემდეგ სასამართლოზე დაიკითხნენ ოჯახის მიერ მკვლელობის შემკვეთებად მიჩნეული პირები, მათ შორის ვასილ სანოძეც, თუმცა, მათ მიმართ არც გამოძიებას და არც სასამართლოს რაიმე პრეტენზია არ ჰქონია და მათ ქმედებაში დანაშაულის ნიშნები არ აღმოუჩენია.სასამართლო პროცესის მსვლელობისას და შემდგომაც, გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე მუდმივად ამტკიცებდა ადვოკატ შალვა შავგულიძესთან ერთად, რომ მელნიკოვი, სანოძე, დონაძე, სალაყაია და ახალაია უშუალოდ არიან პასუხისმგებელი სანდრო გირგვლიანის სიკვდილში და რომ ისინი უნდა მიეცნენ პასუხისგებაში მკვლელობისთვის.

სანოძის გვარი ფიგურირებს აგრეთვე გლდანის ეკლესიის დარბევის გახმაურებულ ფაქტთან დაკავშირებითაც. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ვასილ სანოძე და დათა ახალაია იყვნენ ის პირები, ვინც გლდანის ეკლესიაში მანქანით ანგრევდნენ ეკლესიის კარს.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი გირგვლიანის გახმაურებული საქმიდან გამომდინარე დროებით თანამდებობიდან იყო გადამდგარი, თუმცა მაშინვე საუბრობდნენ, რომ სანოძე უფლებამოსილებას მაინც ასრულებდა და მისი თანამდებობიდან გადადგომა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ვასილ სანოძის მოულოდნელი დაჭრის ფაქტს უფლებადამცველები და ადვოკატები გამოეხმაურნენ, რომლებიც ფიქრობენ, რომ სანოძის დაჭრის ფაქტი გირგვლიანის საქმესთან უშუალო კავშირშია. უფრო კონკრეტულად კი მომხდარი უკავშირდება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ გამოტანილ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას გირგვლიანის საქმეზე. ადვოკატ შალვა შავგულიძის ინფორმაციით, ვასილ სანოძე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა გირგვლიანის საქმეში. სწორედ ის იყო იმ სუფრის მომწყობი, რომელზეც იმყოფებოდნენ ოლეგ მელნიკოვი, თაკო სალაყაია და გურამ დონაძე.

გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი შალვა შავგულიძე საქმის ხელახალი გამოძიების შემთხვევაში სანოძის დაკითხვას არ გამორიცხავს. მისი თქმით, სანოძე გირგვლიანის საქმეში ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. სუფრა იყო სანოძის მოწყობილი. საქმეში ჩართულია მისი მძღოლიც, რომელიც გარეთ იმყოფებოდა.

— ხელახალი გამოძიების შემთხვევაში ყველა, მათ შორის სანოძეც დაიკითხება მოწმის სტატუსით. ბრალდების გამოკვეთის შემთხვევაში მოხდება ბრალის წარდგენა, — აცხადებს შალვა შავგულიძე.

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე ვასილ სანოძის დაჭრის საქმეში ხელისუფლების კვალს ხედავს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ სანოძის დაჭრის ფაქტი გირგვლიანის მკვლელობის საქმეს უკავშირდება.

კაკაბაძე არც თვითმკვლელობას გამორიცხავს, თუმცა თვითმკვლელობის დადასტურების შემთხვევაში აცხადებს, რომ მას დამატებითი შეფასების გაკეთება შეეძლება.

— ამ შემთხვევაში უკვე შეიძლება იმის თქმაც, რომ ხელისუფლების კვალი ურევია. თუ სანოძის თვითმკვლელობის ფაქტთან გვაქვს საქმე, მას ამ მდგომარეობამდე ხელისუფლება მიიყვანდა, — აცხადებს ნანა კაკაბაძე და იქვე მიუთითებს, რომ სანოძე არის ის პიროვნება, რომელსაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააჩნია სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ნინო ბურჯანაძე შეიძლება დააპატიმრონ

ნათია ხურცილავა

დააპატიმრებენ თუ არა ნინო ბურჯანაძეს, რთული სათქმელია, მაგრამ ამბობენ, რომ არ არის გამორიცხული, ბურჯანაძე დააპატიმრონ. პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ღიად გააკეთა განცხადება, რომ ამ ქვეყანას რევო-



ლუცია სჭირდება.

როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს, რთული სათქმელია, მაგრამ 21 მაისს ბევრი რამე ცნობილი გახდება. გამოვა თუ არა ხალხი ქუჩაში და რა რაოდენობის? სწორედ ეს შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ფაქტორი.

**ინტერვიუ „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელ მანანა ნაჭყებიასთან:**

***— ქალბატონო მანანა, „სახალხო კრებამ“ თავისი მოქმედების გეგმა გააცნო საზოგადოებას. როგორც ისინი ამბობენ, მასობრივი გამოსვლები დაიწყება თბილისის ქუჩებსა და რეგიონებში, ეს პროცესი კი ხელისუფლების გადაყენებით დასრულდება. რამდენად რეალურად აფასებთ ამ გეგმას?***

— ცხადია, გეგმას გავეცანით, თუმცა, რომ გითხრათ, ეს გეგმა რამე ინფორმაციის შემცველია, რომელიც შთაბეჭდილებას შეგიქმნის, დაგარწმუნებს ან არგუმენტებით იყოს გამყარებული, ასე არ არის. ჩვენ ვიცით მხოლოდ შეკრების ადგილები. ამის იქით, სამწუხაროდ, არაფერი არ ვიცით. რაც შეეხება პროცესს, ამასთან დაკავშირებით განცხადებაში მოულოდნელი არაფერი იყო. „სახალხო კრება“ ძალიან დიდი ხანია აანონსებს მსგავსი ტიპის აქციების წამოწყებას. მოულოდნელი და გასაკვირი არაფერი ყოფილა იმ განცხადებაში, რომელიც „რვიანში“ შემავალმა პოლიტიკურმა პარტიებმა გააკეთეს. ეს არის ორი პროცესი, რომლის წარმომადგენლებსაც სხვადასხვანაირი გეგმა და ხედვა აქვთ ქვეყანაში მოვლენების განვითარებისა. თუ ჩვენი, კონკრეტულად „ახალი მემარჯვენეების“ ხედვიდან გამოვალთ, ვფიქრობთ, რომ ეტაპი, რომლითაც შეიძლებოდა ხელისუფლების გადაყენება, ვგულისხმობ საზოგადოების მობილიზებას, სამწუხაროდ, ოპოზიციამ ეს შანსი გაუშვა მრავალი სუბიექტური და ძირითადად ობიექტური მიზეზის გამო. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ სუბიექტური მიზეზებიც არ იყო. ჩვენ განვლილი და მომავალი საქმიანობის ანალიზი გავაკეთეთ და იმ ფაქტორისაც, რომელმაც შეიძლება განსაზღვროს ამა თუ იმ მოვლენის მომავალი. ეს არის შიდა, გარე ფაქტორები და ჩავთვალეთ, რომ ამ ეტაპზე იმავე გზით, რომლითაც ორი-სამი წლის წინ ვცდილობდით ხელისუფლების გადაყენებას, ახლა ნაკლებია წარმატების მიღწევის შანსი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ახალი მემარჯვენეები“ დღეს უარს ვამბობთ ხელისუფლების გადაყენებაზე ან ვეგუებით ამ ხელისუფლების არსებობას. რა თქმა უნდა — არა. თუკი ვინმე იბრძოდა ამ ხელისუფლების წინააღმდეგ, მათი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, ჩვენი პარტიის მსგავსად, ძალიან ძნელად წარმომიდგენია, შემიძლია თამამად ვთქვა, ჩვენ და „მრეწველების პარტია“ ვიყავით ერთადერთი ოპოზიციური პარტია, რომლებიც საყოველთაო ეიფორიის ფონზე ამ ხელისუფლების მომავალს ჭვრეტდნენ და ამბობდნენ, რომ ეს არის ხელისუფლება, რომელიც ხალხის ინტერესებს არ გაითვალისწინებს და მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე იზრუნებს. ამიტომ, იმის თქმა, რომ ჩვენ ვინმეზე ნაკლებად გვინდა, დღეს მიხეილ სააკაშვილი არ იყოს ხელისუფლების სათავეში, ძალიან ცუდი ბრალდება იქნება. ვიმეორებ, ჩვენ გავაანალიზეთ ვითარება.

***— და რა ვითარებაა დღეს?***

— სამწუხაროდ, დღეს საზოგადოება კიდევ უფრო დაშინებულია, ვიდრე გუშინ და გუშინწინ იყო, თუნდაც ორი თუ სამი წლის წინ. დღეს ვერ ვხედავთ, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი განწყობილი იყოს მკვეთრად რადიკალურად. უდიდესი ნაწილი, ალბათ, უფრო მომხრეა, რომ ხელისუფლება იცვლებოდეს არა რევოლუციებით, არამედ ევოლუციური გზით, არჩევნებით. ხალხი დარწმუნდა, რომ რევოლუციებს კარგი არაფერი მოაქვს. ვიღაცა, რა თქმა უნდა, რადიკალურად არის განწყობილი და ფიქრობს, რომ ამ გზით შეიძლება ხელისუფლების გადაყენება. არის ადამიანების კატეგორია, რომლებსაც შესაძლოა დიდი სურვილი აქვთ ქუჩაში გამოსვლისა და ამ გზით ხელისუფლების გადაყენებისა, მაგრამ ამის დაფიქსირების ეშინია. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს ფაქტორი. ასევე ის ფაქტორიც, რომ დასავლეთში სულ უფრო და უფრო გროვდება ამ ხელისუფლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, რადგან აშკარად და თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ეს არ არის დემოკრატიული ხელისუფლება. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ შიგნიდან და გარედან ზეწოლით შეიძლება და გვაქვს მცდელობა, მივაღწიოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, რამაც შეიძლება მოგვცეს შანსი, რომ ხელისუფლება არჩევნებში დავამარცხოთ. ჩვენ ამ გზის უფრო გვჯერა და ამიტომ მივდივართ ამ გზით. თუმცა, ვიმეორებ, არანაირად არ ვუპირისპირდებით იმ პროცესს, რომელიც „სახალხო კრებამ“ წამოიწყო. გვესმის ამ ადამიანების სულისკვეთება. შეიძლება, ამ სულისკვეთებაში გადავაჭარბოთ კიდეც, მაგრამ განსხვავებული ტიპის პოლიტიკოსები არიან იქ და აქ. განსხვავებული ხედვები გვაქვს. ამ ხედვებში არის აცდენაც. თუ ვინმე იტყვის, რომ ოპოზიცია არასდროს ყოფილა ერთიანი, ძირითადი ოპოზიციური ნაწილი იყო ერთიანი საპროტესტო აქციების დროს. ყველას ერთიანობა წარმოუდგენელი და შეუძლებელია. სამწუხაროდ, ოპოზიციურ სპექტრში ბევრია ხელისუფლების სატელიტი პარტია და მის დაკვეთას ასრულებენ. გაერთიანდება 15 ოპოზიციური პარტია, მე-16-ს შექმნის ხელისუფლება, რომელიც განზე გადგება და რაღაცას ჩაიდენს. ამიტომ, იმის ილუზია, რომ ყველა გაერთიანდება, არ უნდა გვქონდეს და არც მოხდება. არა მგონია და არც ვთვლი ტრაგედიად, რომ სხვადასხვა ხედვაზე, მიდგომაზე საუბრობს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ნაწილი. ისინი, თავის მხრივ, აძლიერებენ იმ ფრთას, რომელსაც საპროტესტო ფრთა, საპროტესტო აქციები ჰქვია. ჩვენ ვფიქრობთ, მათი ზეწოლა ძალიან მნიშვნელოვანია იმ პროცესის განმავლობაში, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით და მივყვებით. ეს არის პროცესი, რომელიც არანაირად ერთმანეთს არ აზარალებს.

***— ქალბატონო მანანა, თქვენ აღნიშნეთ, რომ ხალხი დღეს უფრო დაშინებულია, ვიდრე ორი-სამი წლის წინ. როგორ ფიქრობთ, გამოვა ხალხი?***

— გასული წლის არჩევნებზე მე დილმის მასივში ვიყრიდი კენჭს. ფეხით მოვიარე თითქმის ყველა ოჯახი. ვიყავი ყველას ოჯახში, ვინც მაშინ სახლში დამხვდა და კარი გამიღო. დავინახე ძალიან დაშინებული ადამიანები, რომლებიც ჯერ სადარბაზოს ათვალიერებდნენ და მერე შემიშვებდნენ ოჯახში. ვნახე ადამიანები, რომლებიც მეუბნებოდნენ, თქვენთან ვართ, თქვენ გვერდით, მაგრამ, იმის გამო, რომ ჩემი შვილი საჯარო სამსახურშია, იმის გამო, რომ პატარა ბიზნესით ვინახავ ოჯახს და შეიძლება, მშიერი დავრჩე, არ შემიძლია, მხარი ღიად დაგიჭიროთ, თუმცა, ვეცდები, ფარულად რაღაცა გავაკეთოო. ასეთი იყო უმეტესობის განწყობა. ეს სინდრომი, სამწუხაროდ, ისევ არის. რა თქმა უნდა, ამას ოპოზიციის მხრიდან სერიოზული მუშაობა სჭირდება, რომ ადამიანები დავარწმუნოთ. დაშინებით კი არა, პირიქით, ჩვენი პოზიციების ხმამაღლა დაფიქსირებით უფრო მეტს მივაღწევთ. ეს უნდა ირწმუნონ ადამიანებმა, მაგრამ ამას განსაკუთრებული მუშაობა სჭირდება ოპოზიციის მხრიდან. პირველი გამარჯვება და მინიშნება იმისა, რომ ამ თვალსაზრისით ნაბიჯი გადაიდგას, ეს იქნება წარმატება, თუ მივაღწევთ ამ გზაზე, რომელსაც საარჩევნო გარემოს გა-



უმჯობესება ჰქვია.

***— თუმცა, მოლაპარაკების პროცესი განახლებული არ არის...***

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა შანსი არ არის ამოწურული. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, ჰილარი კლინტონის განცხადება, თინა ქეიდინაუს თბილისში ვიზიტი, ევროსაბჭოს რეზოლუცია — ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ ოპოზიციას მხარდაჭერა აქვს ამ პროცესში. მოდით, გამოვიყენოთ ეს მხარდაჭერა, მაგრამ, თუ ქუჩიდანაც მოხდება ხელისუფლებაზე ზეწოლა, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

***— ამბობენ, რომ შეიძლება „სახალხო კრების“ მიერ ინიცირებული პროცესის ლიდერები დააპატიმრონ — საუბარია ბურჯანაძეზე. რამდენად შეიძლება, ეს რეალური იყოს?***

— ვერაფერს გეტყვით. დააპატიმრებენ თუ არა, ძნელი სათქმელია, მოვლენების განვითარებაზეა დამოკიდებული. თუმცა, ხელისუფლებას არ ვურჩევდი, ამ ეტაპზე ასეთი ღონისძიება გაატაროს რომელიმე ოპოზიციის ლიდერის წინააღმდეგ. ყველა ოპოზიციის გამოკვეთილ ლიდერს ჰყავს თავისი მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე. დარწმუნებული ვარ, არც ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მხრიდან იქნება ძალადობის მცდელობა. შესაბამისად, ხელისუფლებასაც არ ექნება მცდელობა, საგანგებო ზომები მიიღოს ამ ლიდერის მიმართ. არ ვფიქრობ, რომ მოვლენები ამ გზით განვითარდება. თუმცა, შეიძლება ეს ყველაფერი მარჩიელობა იყოს და მოვლენები სხვანაირად განვითარდეს.

## ირაკლი ლომაიამ გაზეთ „კვირის პალიტრასა“ და ჟურნალისტ ხათუნა პაიჭაძეს ბოდიში მოუხადა

ირაკლი ლომაიამ გაზეთ „კვირის პალიტრას“ და გაზეთის ჟურნალისტ ხათუნა პაიჭაძეს ბოდიში მოუხადა. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „კვირის პალიტრის“ ადვოკატმა, ზვიად კორძაძემ განაცხადა. ადვოკატის ინფორმაციით, ბოდიშის მოხდა და ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში „კვირის პალიტრისა“ და პაიჭაძის წინააღმდეგ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა ლომაიას თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაავალა.

— ამგვარად, სასამართლო დავა დასრულებულია. ლომაიამ უარყო მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. განაცხადა, რომ ეს ინფორმაციები არ შეესაბამება სინამდვილეს. მან ასევე დაადასტურა, რომ მის მიერ 2010 წლის 2 ივლისს ტელეკომპანია “იმედის“ ეთერით გავრცელებული აუდიოჩანაწერი არ შეიცავს ხათუნა პაიჭაძის ხმას. ლომაიამ საკუთარი წარმომადგენლების საშუალებით ბოდიშიც მოიხადა. მას, ასევე, დაეკისრა 1 ლარის გადახდა და იმავე ტელეარხის ეთერით ბოდიშის საჯაროდ მოხდა, — განმარტა კორძაძემ.

ხათუნა პაიჭაძემ კი აღნიშნა, რომ სასამართლოს გადწყვეტილებით კმაყოფილია.

— ჩვენი მიზანი იყო, ლომაიას მის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია უარეყო და ჩვენ ეს შედეგი მივიღეთ. რაც შეეხება მოტივს, თუ რა მიზნით გაავრცელა მან ინფორმაცია, თითქოს მე “კვირის



პალიტრის“ სახელით ფულის გამოძალვას ვცდილობდი, ლომაიამ განაცხადა, რომ შეცდა და ეგონა, რომ მე ვურეკავდი, — განაცხადა ხათუნა პაიჭაძემ.

გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ და ჟურნალისტმა ხათუნა პაიჭაძემ ირაკლი ლომაიას სასამართლოში მას შემდეგ უჩივლეს, რაც ამ უკანასკნელმა საინფორმაციო გამოშვება „ქრონიკის“ ეთერით განაცხადა, რომ ჟურნალისტი ხათუნა პაიჭაძე აშანტაჟებდა და გაზეთში რეკლამის მიტანას სთხოვდა, მასზე სატატიის გამოუქვეყნებლობის სანაცვლოდ. ირაკლი ლომაიამ ტელეკომპანიას ასევე წარუდგინა ამ ფაქტის „დამადასტურებელი“ აუდიოჩანაწერი, სადაც თითქოს, ხათუნა პაიჭაძის საუბარი იყო დაფიქსირებული. ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროში ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ ირაკლი ლომაიას მიერ ტელეკომპანია „იმედში“ წარდგენილი ჩანაწერი არ შეიცავდა ხათუნა პაიჭაძის ხმას.

**ინტერპრესნიუსი**

## მამხილებელი აქცია ხაშურსა და ბორჯომში გაიმართა

პროექტ „მხილების მუზეუმის“ ფარგლებში ე.წ მამხილებელი აქცია დღეს, ხაშურსა და ბორჯომში გაიმართა. აქციაზე ბანერების მეშვეობით ხელისუფლების მაღალჩინოსნების ქონების ამსახველი ფოტომასალა და დოკუმენტური სტატისტიკური მონაცემი იყო განთავსებული.

— ამგვარი სახით აქციის ჩატარებამ მოსახლოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია, აქციებს ხალხის დიდი რაოდენობა შეუერთდა, — აღნიშნეს აქციის ორგანიზატორებმა.

წარმომადგენლობითი სახალხო კრება მსგავსი საინფორმაციო სახის აქციის მოწყობას და ქვეყანაში მიმდინარე რეალური პროცესების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას მთელი საქართველოს მასშტაბით გეგმავს.

მამხილებელი აქცია უკვე გაიმართა, თელავში, მარნეულში, გარდაბანში, რუსთავში, გორში, ხაშურსა და ბორჯომში. აქციის ორგანიზატორი თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ მსგავსი აქციებით მოსახლეობას საშუალება მიეცემა საკუთარი თვალით დაინახოს, თუ როგორც ცხოვრობს საქართველოს ხელისუფლება. აქცია მოძრაობა „თეთრების“ ინიციატივით და სახალხო კრების მხარდაჭერით ტარდება

**ინტერპრესნიუსი**



# ქართულმა პროდუქციამ ჯერ ქართული ბაზარი უნდა დაიბრუნოს

## ჯონდი ბაღათურია სოფლის მეურნეობის გადასარჩენად 159 მილიონს ითხოვს

თეა მარხვაი ე

ქართული სოფლის მეურნეობა სიკვდილის პირას არის. ამაზე ნათლად მეტყველებს საზღვარგარეთიდან შემოტანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტები. საქართველოში ქართული პროდუქციის შოვნა ძალიან ჭირს. ოპოზიცია ამ ყველაფერს ხელისუფლებას აბრალებს.

ამ მიმართულებით ხელისუფლების გატარებულ პოლიტიკას აკრიტიკებს ქართული დასის ლიდერი, დეპუტატი ჯონდი ბაღათურია. მან ექსპერტებთან ერთად შეიმუშავა პროექტი, რომელიც პარლამენტის ყოფნის დროს ქვეყნის პირველმა პირმაც მოიწონა. სააკაშვილმა საჯაროდ დადო პირობა, რომ ეს პროექტი დაფინანსდებოდა. პროექტის დასაფინანსებლად 150 მილიონი იყო საჭირო.



ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები პარლამენტში როცა შევიდა, აღმოჩნდა, რომ პროექტისთვის მხოლოდ 9 მილიონი იყო გამოყოფილი. ამან ბაღათურია აღაშფოთა. ის იმდენი ხანია ითხოვს 150 მილიონს, რომ ხალხს ეჭვებიც კი გაუჩნდა. რატომ არის ეს პროექტი აუცილებლად განსახორციელებელი, ამის შესახებ ჯონდი ბაღათურია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— ხელისუფლებისგან თქვენი პროექტის დასაფინანსებლად 150 მილიონს ითხოვთ, თანაც დაჟინებით. ასეთი აუცილებელია ამ პროექტის დაფინანსება?***

— დავიწყოთ იმით, რომ დაფინანსებას ჯონდი ბაღათურია კი არა, ქართული დასი ითხოვს. ჩვენ გვინდა, რომ დაფინანსდეს ქართული დასის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტი. ეს არის პროექტი, რომელიც სტარტის აღებისთანავე შექმნის ქვეყანაში 540 ათას სამუშაო ადგილს. თანაც მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს. ამ პროექტმა პირველ 4 წელიწადში უნდა გააოთხმაგოს საქართველოს ბიუჯეტი. რაც პენსიების გაზრდის საშუალებას მოგვცემს. ასევე განხორციელდება ფართომასშტაბიანი ამნისტია.

***— რას გულისხმობთ ფართომასშტაბიან ამნისტიაში?***

— მოსახლეობისთვის წყლის, დასუფთავების სამსახურის, გაზის და ელექტროენერგიის დაგროვილი დავალიანების ჩამოწერას. ბიუჯეტის გაოთხმაგების შემთხვევაში შევძლებთ ჯანდაცვის პროექტების და სხვა სოციალური პროექტების დაფინანსებას, რაც ჩვენს ქვეყანას და მოსახლეობას ძალიან სჭირდება. ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტის დაფინანსებაზე შეთანხმება შედგა.

***— მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ იყოს, გვითხარით, სად, როგორ და ვისთან შედგა ეს შეთანხმება?***

— ამაზე შეთანხმება შედგა პარლამენტში. ეს ყველაფერი გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმ დღეს პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოდიოდა. მე წარმოვადგინე ქართული დასის პროექტი. მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ 150 მილიონს გამოყოფს. ეს თანხა ქართული დასის პროექტის დასაფინანსებლად საკმარისია. ბიუჯეტში ამასთან დაკავშირებით უნდა შესულიყო ცვლილებები. ბიუჯეტში შესული ცვლილებები მთავრობამ პარლამენტში შემოიტანა. მაშინ ვნახეთ, რომ ჩვენი პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილია მხოლოდ 9 მილიონი ლარი.

***— დანარჩენი სად წავიდა?***

— ვერ გეტყვით. ცვლილებების თანახმად ქართული დასის პროექტისთვის მხოლოდ 9 მილიონია გათვალისწინებული. ასეთი თანხის გამოყოფას არანაირი აზრი არა აქვს. ეს იქნება ჰაერში გასროლილი ფული.

***— რატომ არა აქვს არანაირი აზრი. ამ 9 მილიონით რაღაც ხომ მაინც დაფინანსდება.***

— გეუბნებით, რომ არანაირი აზრი არა აქვს. ეს 9 მილიონი საჭიროზე 16-ჯერ ნაკლები თანხაა. ეს იცით რას ჰგავს, პაციენტს უამრავი წამალი რომ დაუნიშნო ანალგინთან ერთად. მერე მარტო ანალგინი უყიდო. ამით ხომ პაციენტს არაფერი არ ეშველება. ასევე იქნება სოფლის მეურნეობის შემთხვევაში. თუ გვინდა, რომ ამ პროექტმა იმუშაოს, მის დასაფინანსებლად ხელისუფლებამ დაპირებული 150 მილიონი უნდა გამოყოს.

***— ქართული დასის პროექტთან დაკავშირებით ძალიან შთამბეჭდავი ციფრები დაასახელეთ. ვინ შეიმუშავა ასეთი პროექტი?***

— მის შემუშავებას პირადად ვხელმძღვანელობდი. პროექტის შესაქმნელად შევქმენით სამუშაო ჯგუფი, სადაც ჩართული იყვნენ სოფლის მეურნეობის დარგის წამყვანი სპეციალისტები. პროექტმა გაიარა ექსპერტული ფილტრი.

***— სად გაიარა ექსპერტული ფილტრი?***

— სადაც საჭირო იყო. მათ შორის ფინანსისტების, ბანკირების, ეკონომისტების ფილტრი. ეს პროექტი არის უნიკალური. ყველამ აღიარა, რომ ეს არის უნიკალური პროექტი.

***— რატომ არის უნიკალური?***

— არა მხოლოდ იმიტომ, რომ სწორად არის მთელი ტექნოლოგიური ციკლი შემუშავებული. უნიკალურია პროექტის მეორე განყოფილება, რომელიც სოფლის მეურნეობაში იაფი საბანკო და სადაზღვევო პროდუქტის შექმნას გულისხმობს. თუ ამ დარგში არ იქნა ეს ორი პროდუქტი, ინვესტორი ფულს არ ჩადებს. ჩვენ ამ 150 მილიონის ჩადება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში კი არ გვინდა. ეს არის ინფრასტრუქტურის და სარწყავი არხების რეაბილიტაცია, პროფილაქტიკების შექმნა ტრაქტორების და კომბაინებისთვის. უნდა შეიქმნას ტექნიკის გასაქირავებელი ცენტრები.

***— გასაქირავებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ახლაც არის, მაგრამ გლეხებს მათ დასაქირავებლად ფული არა აქვთ.***

— ამიტომ პირველ წელს ეს ტექნიკა უნდა იყოს უფასო. მეორე წელს კი ფასიანი გახდება. ამ ყველაფერს სჭირდება ეს 150 მილიონი. პროდუქციის წარმოებასა და მის გადამუშავებაში ერთი თეთრიც არ გვინდა. აქ ჩვენ ვქმნით ლიბერალურ საგადასახადო კლიმატს, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ რენტაბელობას. შესაბამისად, როცა სახელმწიფო მხარდაჭერა არის, კერძო ფული გადამისამართდება ამ სექტორში. იცოდეთ, რომ არც ერთი კერძო ინვესტორი, არც ერთ თეთრს არ ჩადებს ამ სფეროში, თუ არ არის დაზღვევა. ეს არის ბიზნესის მარტივი წესი. ვთქვათ ჩახვედით აზერბაიჯანში, ფული გაქვთ და გინდათ მშენებლობის წამოწყება. გაიგეთ, რომ ბანკები კრედიტს არ გასცემენ ამ დარგში. ისიც შეიტყვეთ, რომ ამ დარგს არ აზღვევენ. ეს არის დამადასტურებელი სიგნალი იმისა, რომ ამ დარგში ფულის ჩადება არ შეიძლება. საბანკო და სადაზღვევო პროდუქტი უნდა იყოს ჩვენი სოფლის მეურნეობის სავიზიტო ბარათი. ეს საჭიროა იმისთვის, რომ გლეხი ფეხზე დადგეს. ქვეყანას და ეკონომიკას სწორედ ფეხზე მდგომი გლეხი წამოაყენებს. სადაც გლეხი ფეხზე მყარად დგას, იქ ქვეყანაც წელშია გამართული.

***— რაკი უარს გეუბნებიან ამ პროექტის დაფინანსებაზე, გამოდის, რომ არ უნდათ გლეხის ფეხზე წამოდგომა.***

— საქმეც ისაა, რომ უარს არ ამბობენ.

***— უარი არ არის, მხოლოდ 9 მილიონს რომ გაძლევენ?***

— 9 მილიონის გამოყოფა ამ პროექტისთვის მართლა არაფერი არ არის. ეს არის მხოლოდ ხარჯი ხარჯისთვის. პრეზიდენტმა, როგორც უკვე ვთქვი, საჯაროდ დადო ამ პროექტის დაფინანსების პირობა. პრეზიდენტის გამოსვლიდან ცოტა ხნის შემდეგ პარლამენტში მოვიდა მთავრობა. სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოიტანა პროექტი. ეს პროექტი ძალიან ჰგავდა ჩვენსას. ეს ზოგიერთ ჩემს ოპოზიციონერ კოლეგას არ მოეწონა.

***— ვის არ მოეწონა?***

— არიან ასეთები. მთავრობის პარლამენტში ყოფნისას ისინი გამოდიოდნენ ზოგჯერ სამართლიანი კრიტიკით, ზოგჯერ კეთილი სურვილებით. მათი განცხადებები განსხვავებულ სადღეგრძელოსაც კი ჰგავდა. მათ არც ერთი პროექტი არ წარმოუდგენიათ. მთავრობა პარლამენტის წინაშე ერთი კვირის განმავლობაში აკეთებდა მოხსენებას. ჩვენ გამოვდიოდით მხოლოდ დოკუმენტური მასალით. ინიციატივებით როცა გამოვდიოდით, ზოგიერთებივით ჰაერზე კი არ ვიძახდით: წყალი უფასოდ გვინდა და გაზი ამ ფასადო. ჩვენ კონკრეტული დოკუმენტებით გამოვდიოდით. გამოგვქონდა ციფრები. იმდენად მყარი ციფრები, რომ ვერც ერთმა ოპონენტმა ვერა თქვა, ეს არ ვარგაო. შესაფასება ასეთი იყო: დიახ, ასე უნდა გაკეთდეს. ამისთვის მარტო სიტყვა საკმარისი არ არის, ისევე, როგორც 9 მილიონი.

***— რატომ მაინცდამაინც 9 მილიონი გამოყვეს?***

— ეს მთავრობას უნდა ჰკითხოთ. მე ვიცი მხოლოდ ის, რომ პრეზიდენტის საჯაროდ დადებული პირობა არ შესრულდა. ისინი აცნობიერებენ, რომ სოფლის მეურნეობა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა პრეზიდენტს და მთავრობას, როგორც ჩანს, მისი მნიშვნელობა მთლად ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვთ. თუ გაცნობიერებული აქვთ და მაინც ასე იქცევიან, მაშინ შეგნებულ მავნებლობას სჩადიან, რადგანაც ჩვენს პროექტს ალტერნატივა არა აქვს.

***— რატომ არა აქვს ალტერნატივა?***

— იმიტომ, რომ თუ ეს პროექტი არ განხორციელდა, ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა არ იქნება.

***— იქნებ მართლაც არ სურთ, რომ სოფლის მეურნეობა გაძლიერდეს. არასაპარლამენტო ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ხელისუფლება შეგნებულად ანადგურებს ამ დარგს.***

— ადვილი შესაძლებელია, რომ ხელისუფლებაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ასე იქცევიან. მე ახლა მოგიყვანთ ციფრებს, რომელიც სკანდალია ამ სიტყვის მნიშვნელობით. 2005 წელს ხორბალი იწარმოებოდა 180 ათასი ტონა. 2009 წელს იწარმოებოდა 43 ათასი ტონა. ხორბლის წარმოება შემცირდა 72%-ით. ქერის წარმოება შემცირდა 69 პროცენტით, სიმინდის წარმოება — 31 პროცენტით. ლობიო, რომელიც სტრატეგიული პროდუქტი იყო, 57 პროცენტით შემცირდა. უფრო მეტს გეტყვით, საქართველოში ეკონომიკის წამყვანი დარგი არის ყურძენი. მისი წარმოება შემცირდა 40 პროცენტით. ეს მარტო ეკონომიკის კი არა, მთელი ქვეყნის უბედურებაა. ისევე, როგორც ჩაი. მისი წარმოება შემცირდა 74 პროცენტით. ბოსტნეულის წარმოება შემცირდება 61 პროცენტით, ხილის — 32 პროცენტით. არადა, ხილით ცხოვრობდა შიდა ქართლი. ახლა წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაა. ქვეყანა ინგრევა და ნადგურდება. სოფლის მეურნეობა თუ არ დავაყენეთ ფეხზე, ისე არაფერი გამოვა.

***— იქნებ ამიტომაც ჩამოჰყავთ საქართველოში ბურები, მათ ხომ სოფლის მეურნეობაში უნდა ჩაადებინონ ფული.***

— ამათ კი ჩამოჰყავდათ, მაგრამ აღარ ჩამოდიან. მათი წარმომადგენლები უკვე იყვნენ საქართველოში და აქ არსებული ვითარება დაზვერეს. დადგეს თუ არა ჩვენს მიწაზე ფეხი, იკითხეს, არის თუ არა სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო და საბანკო პროექტი. როცა გაიგეს, რომ ეს არ იყო, თქვეს, კარგად ბრძანდებოდეთო და წავიდნენ. ამას ვამტკიცებ ამ თვეების განმავლობაში, რომ თუ დაზღვევა არ იქნა, ფულს არავინ არ ჩადებს. არც ბურები და არც ვინმე სხვა. სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება კი ქვეყნისთვის აუცილებელია. სხვა თუ არაფერი, ეს 540 ათასზე მეტ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილს შექმნის.

***— რა ტიპის სამუშაო ადგილებზე საუბრობთ?***

— გადამუშავება, დისტრიბუცია, რეალიზაცია.... 540 ათასი ადამიანის დასაქმება ნიშნავს 2 მილიონი ადამიანის შიმშილისგან ხსნას. ეს ნიშნავს, რომ პირველივე წელიწადში გვექნება გაოთხმაგებული ბიუჯეტი. დღეს ქართული ბაზარი უკავია უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციას. ეს პროდუქცია ჩვენ უნდა ქართული პროდუქციით შევავიწროვოთ. ქართულმა პროდუქციამ ჯერ ქართული ბაზარი უნდა დაიბრუნოს. უცხოური პროდუქტის შემოტანა, სხვა თუ არაფერი, არის უარყოფითი სალდო. იმიტომ, რომ საქართველოდან გადის დოლარი. ეს თავისთავად ინფლაციას იწვევს. უარყოფითი სალდო თუ გაუმჯობესდება, ლარი გამყარდება. ფასებიც დასტაბილურდება და დაიკლებს. ადამიანებს ნორმალური ცხოვრების საშუალება მიეცემათ. ეს ნიშნავს ქვეყნის ფეხზე დაყენებას. თუ ხელისუფლებაში ეს არ ესმით, საშინელებაა. ხოლო თუ ესმით და შეგნებულად არ აფინანსებენ ამ პროექტს, მაშინ ქვეყნის მოწინააღმდეგენი ყოფილან.

### მიხეილ სააკაშვილმა ლიტვის პრეზიდენტი მიიღო



თბილისში ორდღიანი ვიზიტით მყოფი ეუთოს თავმჯდომარე ქვეყანა ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო.

შეხვედრის დაწყებამდე მიხეილ სააკაშვილმა ლიტველ კოლეგას საქართველოში დაგეგმილი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი გააცნო. ამის შემდეგ გრიბაუსკაიტემ საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო.

გუშინ ლიტვის პირველ პირს პრესასთან განცხადება არ გაუკეთებია.

— ქალბატონი გრიბაუსკაიტე საქართველოში ჩამობრძანდა როგორც ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე. ამიტომ ორი ქვეყნის პრეზიდენტები საუბრისას აქცენტს სწორედ ეუთოს თემატიკაზე გააკეთებენ, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

შეგახსენებთ, რომ გრიბაუსკაიტე საქართველოს სამხრეთ კავკასიური ტურნეს ფარგლებში ეწვია. თბილისში ჩამოსვლამდე იგი ბაქოში იმყოფებოდა. 4 მაისს კი სომხეთის დედაქალაქ ერევანში გაემგზავრება.

მედიანიუსი

### ყირგიზეთში მომხდარი მოვლენები დანაშაულად მიიჩნიეს



საერთაშორისო კომისიის დასკვნების თანახმად, ყირგიზეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ ოშში მომხდარი მოვლენების კვალიფიცირება შესაძლებელია, როგორც ჰუმანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული. კომისიის ხელისუფლებმა, გარდა ამისა, მიიჩნიეს, რომ მოსახლეობის რბევაში, შესაძლოა, ყირგიზეთის უშიშროების ძალები მონაწილეობდნენ.

ყირგიზეთის სამხრეთით მომხდარი მოვლენების გამომძიებელი საერთაშორისო დამოუკიდებელი კომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში ოფიციალურ ბიშკეკს ქალაქ ოშში გასულ წელს მომხდარ მოვლენებში სამხედროების როლის გამოძიებისაკენ მოუწოდებს.

კომისიის ხელმძღვანელის, ფინეთის პარლამენტის ყოფილი წევრის, კიმო კილიუნენის თქმით, კომისიის დასკვნა სავსებით აშკარაა. ეს არც გენოციდია და არც სამხედრო დანაშაული, მაგრამ კომისიას გააჩნია მონაცემები, რომლის მიხედვითაც 11-13 ივნისს უზბეკურ რაიონებზე თავდასხმები ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენდა, ეს დანაშაული სისტემატურ, ფართოდ გავრცელებულ ხასიათს ატარებდა და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყირგიზეთის მთავრობამ ანგარიშის ზოგიერთი დასკვნა გაიზიარა, სხვები კი უარყო, როგორც კატეგორიულად მიუღებელი.

საერთაშორისო კომისიის შექმნა ყირგიზეთის პრეზიდენტმა როზა ოტუნბაევამ მოიწონა და მან ოშში მიმდინარე მოვლენების გამოძიების მანდატი მიიღო. 2010 წლის 10-11 ივნისის მოვლენების შედეგად 470 ადამიანი დაიღუპა.

2010 წლის მოვლენების შედეგად დაღუპულთა 75% ეთნიკური უზბეკია, 25% ყირგიზები არიან.

კიმო კილიუნენის თქმით, კომისიამ, რომელმაც 750-ზე მეტი მოწმის ჩვენება განიხილა, დაასკვნა, რომ ბრბო, რომელიც უზბეკურ რაიონებს დაესხა თავს, არმიიდან წამოყვანილ ჯავშანტრანსპორტიორებს იყენებდა.

„ბარიკადების დანგრევის შემდეგ ბრბო უზბეკურ რაიონებში შეიჭრა და ძლეტა დაიწყო. იყო გაუპატიურების შემთხვევებიც, შემდეგ წამოვიდნენ მაროდიორები და ეს სისტემატური, ორგანიზებული მაროდიორობა იყო, შემდეგ კი გარეუბნები გადაწვეს და გაანადგურეს“, — განაცხადა კილიუნენმა.

უზბეკეთის ხელისუფლები არ დაეთანხმნენ კომისიის დასკვნებს, სადაც მოვლენები ეთნიკური კუთხით არის ნაჩვენები. ყირგიზეთის სამხრეთში მომხდარი მოვლენების მიზეზების ანალიზის დროს კომისიამ მიიჩნია, რომ ვითარება ამ რაიონებში რამდენიმე თვის განმავლობაში დაიძაბა.

კილიუნენის თქმით, პროცესი ჯერ კიდევ აპრილში დაიწყო, წინა რეჟიმის დამხობის შემდეგ. შედეგად სამხრეთში პოლიტიკური ვაკუუმი შეიქმნა, რაც დაძაბულობის წარმოქმნის მიზეზი გახდა. ყირგიზეთის მთავრობა აცხადებს, რომ იგი მომხდარზე პასუხისმგებლობას არ იხსნის, მაგრამ ვარაუდობს, რომ კომისიას სხვა ფაქტორებიც უნდა გაეთვალისწინებინა.

საერთაშორისო ექსპერტების ვარაუდით, ყირგიზეთში ეთნიკური დაძაბულობის შერბილებას შედეგად უზბეკური ენის „ლოკალური სარგებლობის“ ენად გამოცხადება შეიძლება მოჰყვეს, ადგილობრივ ხელისუფლებაში კი ეთნიკური საკითხების მრჩევლის თანამდებობის შექმნა გახდება საჭირო.

სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების რეაქცია კომისიის დასკვნებზე სხვადასხვანაირი იყო. ყირგიზებში გავრცელებული აზრის თანახმად, გამოძიების შედეგები ცალმხრივია, რადგან უფრო მეტად სწორედ ისინი, ეთნიკური ყირგიზები დაზარალდნენ. მრავალი ეთნიკური უზბეკი, თავის მხრივ, ვარაუდობს, რომ გამოძიება არასაკმარისად სრულია და ანგარიშში მომხდარი მოვლენები არასრულად არის ასახული.

გ.თ.

# ქართულ პარტიას „მაესტროსთან“ არაფერი აკავშირებს

## ვისია „იმედი“ და „რუსთავი 2“?

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ ქართული პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბართან

*— ბატონო სოზარ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ გუშინ სახალხო კრებამ თავისი სამოქმედო გეგმის შესახებ ისაუბრა. რას ფიქრობს ქართული პარტია ამასთან დაკავშირებით?*

— მე რასაც ვუსმინე, სამოქმედო გეგმაზე იქ არ ყოფილა ლაპარაკი. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ 21-ში იქნება შეკრება და ამის შეფასება ძალიან რთულია.

*— სახალხო კრების ლიდერები აცხადებენ, რომ სააკაშვილისთვის ეს პრეზიდენტობის ბოლო წელი იქნება, ანალოგიური განცხადებები ქართული პარტიის ლიდერებისგანაც მოვისმინე...*

— კი ბატონო, ძალიან კარგია, რომ ამას აცხადებენ. თარიღები ბევრჯერ დასახელებულა, მაგრამ ამ თარიღებს სჭირდება მართლა გეგმის არსებობა და განხორციელება. ჩვენ როდესაც არ ვაცხადებთ რაიმე კონკრეტულ თარიღს, ეს იმას ნიშნავს, რომ არ ვიყოთ რაღაც თარიღებზე დამოკიდებულები. ჩვენ ადრეც გვქონდა ნათქვამი, რომ აპრილის ბოლომდე ჩვენ ვმუშაობთ და ვიბრძვით პარტიის მშენებლობის დასრულებისთვის, რაც გავაკეთეთ და ახლა ჩვენც ვიწყებთ მოქმედებებს. თუმცა, ჩვენ არ ვთვლით, რომ ეს მოქმედებები ერთ კონკრეტულ დღესა და კონკრეტულ აქციაზე უნდა იყოს დამოკიდებული. თუ ეს მოხდება, თავისთავად, ცუდი არ არის, მაგრამ, ისევ ვიმეორებ, ამას სჭირდება ძალიან ზუსტი დათვლა და მენეჯმენტი, რაც ახლა, ნამდვილად არ ვიცი, აქვს თუ არა ვინმეს.

*— ითქვა, რომ თარიღების დასახელებამ ბევრჯერ გაუცრუა საზოგადოებას იმედები...*

— მე არ მინდა ახლა რაღაცის პროგნოზირება, არ მინდა, რომ ანალოგიური მოხდეს და, გარდა ამისა, ქართული პარტია ძალიან ფრთხილად ეკიდება მსგავს თარიღებს. ეს სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ არ გვინდა, იმედგაცრუება გამოვიწვიოთ მანამ, სანამ სიტუაცია არ იქნება მზად. არაერთხელ დასახელებულა რაღაც თარიღები, რომლებიც დაუკავშირეს ჩვენს სახელს და არც ერთი თარიღი ჩვენგან არ მომდინარეობდა. როცა ლაპარაკი იყო 20 აპრილზე, თითქოს ქართული პარტია რაღაცას აპირებს, საიდან მოდიოდა ეს 20 აპრილი, მე არ ვიცი. ჩვენ ვაცხადებდით ყოველთვის, რომ გაზაფხულზე დავასრულებდით პარტიის მშენებლობას და დღემდე მივდივართ დასახული გზით. ჩვენი მზადყოფნა დღეს ზუსტად იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ სიტუაციაში მზად ვიქნებით რევოლუციისთვისაც, ძლიერი საპროტესტო აქციებისთვისაც, თუ სიტუაცია იქნება და არჩევნები იქნება, არჩევნებისთვისაც. არჩევნებს ძალიან პირობითად ვამბობ, იმიტომ რომ ნამდვილად არა ვარ დარწმუნებული, თუ ამ ხელისუფლების პირობებში შესაძლებელია სამართლიანი არჩევნები, მაგრამ პარტია მზად უნდა იყოს ყველანაირი გამოწვევისთვის. ქართული პარტია მზად არის ყველანაირი გამოწვევისთვის, რომლებიც შეიძლება დადგეს ხელისუფლებაში მოსასვლელად.

*— ითქვა, თითქოს რაღაც მოლაპარაკებების მსგავსი მიდიოდა სახალხო კრებასა და ქართულ პარტიას შორის. რა ეტაპზეა ახლა ეს პროცესი?*

— იმ ეტაპზე, რა ეტაპზეც დასაწყისში, ანუ ის არ დაწყებულა. მე არ ვიცი, სად მიმდინარეობდა ეს საუბარი. მსგავსი მოლაპარაკებები არ ყოფილა.

*— საუბრობენ ირაკლი ოქრუაშვილსა და კოკა გუნცაძეს შორის არსებულ დაპირისპირებაზე. თქვენ, როგორც პარტიის თავმჯდომარემ, იქნებ განგვიმარტოთ, რა ხდება?*

— არ ვიცი, რას გულისხმობთ, თუმცა, თავისთავად იმაში, რომ აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება არსებობდეს, გასაკვირი არაფერია. კოკა გუნცაძემ, მაგალითად, რამდენჯერმე გამოაცხადა საჯაროდ, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გააუქმებს სოდს, კუდსა და მანდატურებს. იმაში ვეთანხმები, რომ კუდსა და სოდს ნამდვილად გავაუქმებთ, მაგრამ მანდატურების მიმართ ჩემი დამოკიდებულება ცოტა განსხვავებულია. მანდატურებმა, რა თქმა უნდა, იმ სახით, როგორითაც ახლა არიან, არ უნდა იარსებონ, მაგრამ, თავისთავად, არის თუ არა საჭირო მანდატურის ინსტიტუტი, ამაზე შეიძლება დიდხანს ფიქრმა მოგვიწიოს და სპეციალისტების აზრი გავითვალისწინოთ, ვიდრე გამოვაცხადოთ, რომ გავაუქმებთ. მიუხედავად იმისა, რომ კოკა გუნცაძემ ეს რამდენჯერმე გამოაცხადა, არც ერთხელ არ ჩამითვლია საჭიროდ ამ თემაზე შიდა დისკუსია. მე ვუთხარი ჩემი აზრი, ასე არ ვფიქრობ, თუმცა, შენ შეგიძლია, შენს აზრზე დარჩე-



მეთქი. მე არ მიმაჩნია, რომ ეს ის საკითხია, რომელსაც რაღაცა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. პარტიის შიგნით აზრთა სხვადასხვაობის არსებობა ძალიან ნორმალური მოვლენაა და, ღმერთმა არ ქნას, ასე არ იყოს, რადგან მაშინ ვიქნებით მიხეილ სააკაშვილის პარტია.

*— ბატონო სოზარ, ასევე დიდი მითქმა-მოთქმაა ატეხილი ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებით. ამბობენ, რომ ქართული პარტია ცდილობს, „მაესტროს“ დაეპატრონოს...*

— ეს რა ბოდვაა. ჯერ ერთი, ტელევიზიის 50% არის ძველი მფლობელების ხელში და, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, ეს არ არის კიდევ საბოლოო გადაწყვეტილება, კიდევ დანაწილდება და ძალიან ბევრი მფლობელი ეყოლება, ძალიან ბევრი მფლობელი კი ნიშნავს იმას, რომ ეს ტელევიზია არ იქნება ერთი კაცის ხელში. ერთი კაცის ხელში ტელევიზია შეიძლება იყოს ისეთივე ანგაჟირებული, როგორიც ერთი პარტიის ან სხვა ვიღაცის ხელში. ქართულ პარტიას არა აქვს არაფერი საერთო ტელეკომპანია „მაესტროსთან“. მაკა ასათიანი არ არის ქართული პარტიის წევრი და ის, რომ ჩვენ მის მეუღლესთან ვთანამშრომლობთ, არაფერ შუაში არ არის აქ. პრობლემა სხვა რამეშია.

*— რაში, ბატონო სოზარ?*

— პრობლემა არის „იმედში“, რომელიც წაართვეს მის მფლობელს და დღემდე არ ვიცით, ვის ხელშია. პრობლემა არის „რუსთავი 2“-ში, რომელიც ასევე არ ვიცით, ვის ხელშია. არაოფიციალურად ვიცით, რომ ორივე ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ხელშია, მაგრამ ოფიციალურად არ ვიცით და დამალულია მფლობელის ვინაობა. პრობლემა არის პირველ არხში, რომელსაც, პრაქტიკულად, ნაციონალი გია ჭანტურია მართავს, ადამიანი, რომელიც ღიად აცხადებს, რომ არის მიხეილ სააკაშვილის ფანი და მიმდევარი. პრობლემა არის „რეალტივიში“, რომელიც გურამ დონაძის დაფუძნებულია და გურამ დონაძე მართავს, გირგვლიანის მკვლელი. აი, ვინ არის მისი მფლობელი. პრობლემა არის „აიტივიში“, პრობლემა არის „პრესა ჯი“-ში, პრობლემა არის „დრონი ჯი“-ში, რომელსაც ასევე გურამ დონაძე მართავს და მაკა ასათიანის მიმართ ვის რა პრეტენზია აქვს, ჯერ ეს გამაგებინონ და მეორეც, იმ თავისი წილით რა გავლენა უნდა მოახდინოს მაკა ასათიანმა მამუკა ღლონტზე ან რომელიმე სხვა მფლობელზე?! ნამდვილად არა ვარ ამ საქმეში ჩახედული, მაგრამ გამიგია მათი მფლობელებისგან, რომ თვითონ ეს 50% რომ გაიყო ორად, ერთგვარად ესეც იმ სტრატეგიის ნაწილია, რომ არ შეექმნას საზოგადოებას იმის განცდა, რომ ვინმე ერთი ადამიანი მართავს. ეს პროცესი, ალბათ, კიდევ უფრო გაღრმავდება და კარგია, რომ ძალიან ბევრი მფლობელი ჰყავდეს, რომლებიც ერთმანეთს გააკონტროლებენ და არ მისცემენ საშუალებას ერთმანეთს, საზოგადოებისთვის გაუგებრად მოიქცნენ.

*— ბატონო სოზარ, თქვენი ოპონენტები „რვიანიდან“ აცხადებენ, რომ დღეს აქციები, საპროტესტო გამოსვლები მიხეილ სააკაშვილს აწყობს და მის წისქვილზე დაასხამს წყალს, ეს ოპოზიციური პარტიები სააკაშვილის გეგმას უწყობენ ხელსო...*

— კი, რა თქმა უნდა, სააკაშვილს აწყობს, რომ ის დაამხონ. ერთადერთი, რაც არ აწყობს, არის, რომ ისეთივე ვირტუალური გამარჯვება მოიპოვოს ოპოზიციამ მის წინააღმდეგ, როგორიც — 2010 წლის 30 მაისს. კარგად გვახსოვს, ბატონმა ალასანიამ როგორ მიულოცა ქართველ ხალხს ოპოზიციის გამარჯვება თვითმმართველობის არჩევნებზე და როგორი გამარჯვებულიც არის ოპოზიცია, კარგად ვხედავთ. კარგად ვხედავთ, ვინ არის ქალაქის მერი, კარგად ვხედავთ, ვინ არის საკრებულოში უმრავლესობა და კარგად ვხედავთ, რა გავლენას ახდენს თბილისისა თუ ნებისმიერი რაიონის საკრებულოში დღეს ოპოზიცია. ასეთივე ტიპის ვირტუალური გამარჯვების მილოცვა თუ უნდათ სააკაშვილისთვის, მე ამაში ვერ გავხდები მათი თანამოზიარე და თანამოაზრე. ასევე მეორე — ჩვენ კარგად ვნახეთ, რეალურად რას აკეთებს „რვიანი“. კარგად გამოჩნდა გუშინ გორში „რვიანის“ სახე, სადაც „რვიანი“ და ხელისუფლება ერთ ხმაში ედუდუნებოდნენ მოსახლეობას იმ საკითხებზე, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, საერთოდ არ აინტერესებდა იმ ხალხს. იმ ხალხის ინტერესი არის სულ სხვა. მათ თქვეს, რომ არ სჯერათ, თუ სააკაშვილის ხელისუფლება შეცვლის საარჩევნო გარემოს და მათ უნდათ აქტიური მოქმედებები.

*— როგორც ბევრ სხვას, თქვენც მიგაჩნიათ, რომ მარცხი განიცადა „რვიანმა“ ხელისუფლებასთან დიალოგში?*

— „რვიანი“ რომ განწირული თამაში იყო, ყოველთვის ვიცოდით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩვენ მაინც ვფიქრობდით, რომ იქნებ „რვიანმა“ შეძლოს ხელისუფლების გაშიშვლება იმ კუთხით, რომ ხელისუფლება არ წამოვა არანაირ დიალოგზე, მაგრამ ამისთვის არსებობდა გარკვეული ვადები. ამ ვადებმა მილიონჯერ გადაიწია. ბოლო ვადა, სხვათა შორის, რაც მოვისმინე, ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ იყო, რომ ირაკლი ალასანია ლაპარაკობდა მაისის ბოლოზე და ახლა რატომღაც მოულოდნელად ეს ყველა თარიღი სასწრაფოდ გადაიტანეს შემოდგომაზე. შემოდგომას გაზაფხული მოჰყვება, მერე — 2019 წლის შემოდგომა, მერე — 2022 წლის მაისი და ასე თარიღების გადატანაში აზრს ნამდვილად ვერ ვხედავ. ეს რომ ყოფილიყო მიმართული ხელისუფლების გაშიშვლებაზე, რომ ხელისუფლება არ მოდის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, მე კიდევ გავიგებდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საბოლოოდ ნაბიჯები ოპოზიციურ „რვიანში“ შემავალი პარტიებისა არის გადადგმული არა ხელისუფლების გაშიშვლებაზე, არამედ ხელისუფლების შეფუთვაზე, რომ როგორმე დამალონ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ხელისუფლებას აქვს და როგორმე დამალონ ის ფაქტი, რომ ხელისუფლებას არ სურს არანაირად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ლაპარაკი. ძალიან მარტივ ტესტებს დავსვამ და „რვიანში“ შემავალ პარტიებსაც მოვუწოდებ, რომ ეს ტესტები დასვან. რამდენიმე კვირის წინ „მაესტრომ“ მოამზადა გადაცემა, როგორ მიდიოდნენ ყალბი პირადობის მოწმობებით ადამიანები არჩევნებზე ხმის მისაცემად ფოთში, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. ამ ადამიანთა გვარები და სახელები ცნობილია. სასწრაფოდ მოითხოვოს „რვიანმა“, რომ ის ადამიანები, რომლებიც სხვისი პასპორტებით მიდიოდნენ, დაიჭირონ და ჩასვან ციხეში, იმიტომ რომ ეს არის არჩევნების გაყალბება, და ყალბი დოკუმენტების დამზადება და გამოყენება. დაიჭირონ ის ადამიანები, რომლებმაც ეს დოკუმენტები დაამზადა და მათი ხელმძღვანელები, რომელთა გარეშეც ისინი ვერ დაამზადებდნენ ამ დოკუმენტებს. აი, ეს იქნება ერთი ტესტი. მეორე ტესტი იქნება, რომ არჩევნების თარიღი ჩაჯდეს კონსტიტუციურ ვადაში, როდესაც, დღევანდელი კონსტიტუციის მიხედვით, მიმდინარე წლის ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები ვერ გადასცდება. როგორც კი გადასცდება ერთი დღე, ეს ნიშნავს, რომ კონსტიტუცია დარღვეულია. თუკი არჩევნები წელს უნდა ჩატარდეს, ეს ნიშნავს, რომ მინიმუმ ივლისში პარლამენტმა უნდა გამოაცხადოს იმის შესახებ, რომ არჩევნები იქნება ოქტომბერში. როდესაც „რვიანი“ ამბობს, რომ საარჩევნო გარემო უნდა გაუმჯობესდეს შემოდგომაზე და ამის შემდეგ მომავალი წლის შემოდგომაზე შეიძლება ჩატარდეს არჩევნები, რომელშიც თვითონ მიიღებენ მონაწილეობას, ეს ნიშნავს, რომ „რვიანი“ ხელისუფლებას, მაპატიეთ ამ სლენგისთვის, მაგრამ უნდა გამოვიყენო, „უპრავებს“ მოპარულ ერთ წელიწადს, რომელიც მოპარეს ხალხს. ეს ერთი წელიწადი უზურპირებულია პარლამენტის მიერ. რადგან ის არის უზურპირებული, შესაბამისად, ჩვენ უფლება გვაქვს, წავართვათ ძალით ან ნებისმიერი გზით, რომელსაც ჩავთვლით საჭიროდ, ხოლო „რვიანი“, იმის ნაცვლად, რომ ამაზე ილაპარაკოს, ლაპარაკობს იმაზე, რომ შემოდგომამდე უნდა მოხდეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და მომდევნო წელს დაინიშნოს არჩევნები. თუმცა, ეს არ მიკვირს, იმიტომ რომ ამ „რვიანში“ შემავალ პარტიებში არის მინიმუმ ერთი პარტია, რომელმაც თვითონ მისცა ხმა ამ კონსტიტუციასა და სააკაშვილის მიერ ხელისუფლების უზურპირებას.

*— ვის გულისხმობთ?*

— ეს არის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და როდესაც „რვიანში“ შემავალი პარტიები ერთხმად აცხადებენ, რომ ისინი არიან ერთიანები, მათ შორის არ არის არანაირი განხეთქილება, არანაირი ბზარი, მაშინ გამოდის, რომ ისინიც იღებენ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც გააკეთა ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ, როდესაც მათ თავიანთი ხმის მიცემით ხელი შეუწყვეს სააკაშვილის ხელისუფლების უზურპაციასა და სააკაშვილისა და მისი პარლამენტისთვის თითო-თითო წლით ხელისუფლების გაგრძელებას, რასაც ჩვენ არ შევეგუებით.

*— თქვენ ისაუბრეთ ქართული პარტიის შესახებ, მაგრამ მაინც კონკრეტულად არ გითქვამთ, როდის გადახვალთ რეალურ ქმედებებზე...*

— უახლოეს დღეებში.

### „იმედმა“ გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გააშუქოს



საქართველოს რესპუბლიკური პარტია ტელეკომპანია „იმედს“ სანდრო გირგვლიანის საქმეზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილების გაშუქება სთხოვს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე რესპუბლიკური პარტიის მდივანმა ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, „იმედი“ არის ის ტელევიზია, რომელმაც თავის დროზე საზოგადოებას სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შესახებ ამცნო, ახლა კი ტელეკომპანია „იმედის“ არცერთ გადაცემაში არ გაშუქდა სტრასბურგის ადამინის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება „გირგვლიანი-ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეზე.

— ჩვენი მოთხოვნაა სწორედ „იმედმა“ მიუძღვნას „სპეციალური რეპორტაჟი“ გირგვლიანის მკვლელობის საქმეს და გირგვლიანის მკვლელობის ევროპის სასამართლოს მხრიდან შეფასების საკითხს, — აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

მისი თქმით, სამარცხვინო ამბავია, როდესაც მოქალაქეები ყურმოკვრით იგებენ თავისი ქვეყნის მიმართ მიღებულ საერთაშორისო გადაწყვეტილებებს.

ლევან ბერძენიშვილმა საქართველოს მედიის თავისუფლების ინდექსებიც წარმოადგინა, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა „ფრიდომ ჰაუზმა“ და ორგანიზაციამ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მოამზადეს.ბერძენიშვილის თქმით, საერთაშორისო ორგანიზაციების მომზადებული მასალა მოიცავს 2001-2010 წლების პერიოდს და მათში საქართველოში პრესის თავისუფლების ხარისხის გაუარესების ტენდენცია ჩანს. მისი თქმით, საქართველოში პრესის ნაწილობრივ თავისუფლებაზე გაკეთებული განცხადებები არასერიოზულია.

— საქართველოში არიან თავისუფალი ჟურნალისტები და საქართველოში არიან არათავისუფალი ჟურნალისტები, — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

მედიანიუსი

### ირაკლი ალასანია ბათუმში შეხვედრებს მართავს

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ბათუმში შეხვედრებს მართავს.

ალასანია ადგილობრივ მოსახლეობას, არსამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და პარტიის აქტივისტებს ხელისუფლებასთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაციას აცნობს, ასევე ამ პროცესთან დაკავშირებით მათ პოზიციას ისმენს.

—დღეს გვაქვს საარჩევნო გარემოს შეცვლის უნიკალური შანსი, რათა ხელისუფლება, პირველად საქართველოს ისტორიაში, არჩევნების გზით შეიცვალოს, — განაცხადა ალასანიამ შეხვედრებზე.

პარტიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ ქართული საზოგადოების ერთსულოვნებითა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, ეს მიზანი მიიღწევა. მისივე განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც „წარსულის პოლიტიკოსია და საქართველოს პროგრესისკენ ვერ წაიყვანს“, უნდა დათმოს. მსგავს შეხვედრებს ირაკლი ალასანია ხვალ სამეგრელოში გამართავს. მედიანიუსი საინფორმაციო სააგენტო

ინტერპრესნიუსი

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# რატომ არ იკლებს ფასები

## ინფლაციური პროცესები ეკონომიკის რეალურ ზრდას ხელს უშლის

შორენა კოწოწაშვილი

**ეკონომიკური ექსპერტი სოლომონ პავლიაშვილი მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიწის ფონდის მაქსიმალური გამოყენებას ანუ სახნავ-სათესი მიწების ბოლომდე ათვისებას. მისი თქმით, 2 900 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან თითქმის 75-80% პრივატიზებულია. ამის მიუხედავად, მიწებს არ ამუშავებენ, რადგანაც მათ მესაკუთრეებს სხვა ინტერესები აქვთ — მიწები სარფიანად გაიყიდონ.**

— დასამალი არ არის, რომ ეს მიწები ყოფილმა გამგებლებმა, გუბერნატორებმა ჩაიგდეს ხელში. მათ დიდი რაოდენობით მიწები აქვთ და ელოდებიან ფასის გაძვირებას, რომ შემდგომში მისი გადაყიდვა მოახდინონ. პრეზიდენტმა სწორედ მიანიშნა, თუ გაქვს მიწა, დაამუშავე. ვფიქრობ, რაღაც სანქციები უნდა იყოს მათზე, ვინც ამ მიწებს არ ამუშავებს, — აცხადებს პავლიაშვილი.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მინისტრ კვეზერელს და მის მიერ გატარებულ „რეფორმატორულ" ნაბიჯებს, ქონების მართვის ყოფილ მინისტრს მიმაჩნია, რომ კვეზერელი მინისტრებს შორის შედარებით უკეთესია. მისი თქმით, სოფლისმეურნეობის პოლიტიკა უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და არა ცალკე აღებული.

— არ შეიძლება ჯოხის გადატეხვა ვინმეზე. ისეთი სახე მიიღო ბოლო პერიოდში კვეზერელის მიმართ დამოკიდებულებამ, ზოგჯერ არის აგდებული და შეურაცხმყოფელი ტონიც, ისე გამოვიდა პარლამენტში, ვისაც მოერივნენ, იმას დაეტაკნენ. თუ მაგრები არიან, ეკონომიკის მინისტრი ან სხვა მინისტრები გალანძღონ, მაგალითად, შს მინისტრი, მაგრამ იმათ ვერ უბედავენ. სოფლის მეურნეობაში პრობლემები არის, მაგრამ თანხები თუ არ მიეცი, ვერაფერს გააკეთებ, — აცხადებს პავლიაშვილი.

რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა საგარეო ვალების დასაფარად ახალი ვალების აღება და არის თუ არა საგანგაშო 13%-იანი ინფლაცია? — ამ საკითხების ირგვლივ **გთავაზობთ ინტერვიუს სოლომონ პავლიაშვილთან.**

***— ბატონო სოლომონ, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ეკონომიკური რეფორმის კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. ეკონომიკური გაჯანსაღება იგრძნობა თუ მართლაც საგანგაშო ვითარებაა?***

— მთავარი პრობლემა, რაც ქვეყანას უდგას, არის ინფლაციის მაღალი ტემპი. წლიურმა ინფლაციამ მარტის ბოლოს დაახლოებით 13,5% შეადგინა. ეს უკვე მაღალი მაჩვენებელია, რადგან დეკემბრის თვეში წლიური ინფლაცია 7% იყო. 2007-2009 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ საომარი მოქმედება იყო და კრიზისის პირველი ეტაპები, ინფლაცია 6-7% იყო. ანუ დღეს ყველაზე მაღალია ინფლაცია. სამომხმარებლო ფასების ინდექსი ძალიან მაღალია. სასურსათო პროდუქციაზე ფასები გაზრდილია 28%-ით. ფასი ასევე გაზრდილია ნავთობზე 24%-ით. ეს მოსახლეობას ყველაზე ძალიან აწუხებს. ხელისუფლებისთვის მთავარი და მიშვნელოვანი საზრუნავი ეს უნდა იყოს. ამ მხრივ ხელისუფლებას რომ რაიმე მკვეთრი ნაბიჯები გადაედგას, ვერ ვხედავ. ვაუჩერების დარიგება იყო ცდა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ იყო პანაცეა და ეს არ იყო გადადგმული რაიმე სერიოზული ნაბიჯი. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ უნდა გამოაქვეყნოს ანტიინფლაციური პროგრამა, რათა ამ კომპანიებმა, ეკონომიკურმა სუბიექტებმა ინფლაციური მოლოდინის ხარჯზე ფასები არ გაზარდონ. რადგან ხშირ შემთხვევაში ისეთ პროდუქციაზე იზრდება ფასები, რომელიც ადგილობრივი ნედლეულითაა ნაწარმოები, მაგალითად, როგორიც არის რძის ნაწარმი. იმიტომ ზრდიან ფასებს,



რომ მათ არ იციან, მომავალში რა იქნება. სინამდვილეში მათ თავის დანახარჯების ფასი არც აქვთ გაზრდილი, რადგან მათ ადრე აქვთ შეძენილი. გამოდის, რომ ფასებს ზრდიან იმიტომ, რომ არ იციან, ხელისუფლება რა პოლიტიკას გაატარებს. ამასთან არც ენდობიან. ნდობის ფაქტორი აუცილებელია. ამიტომ ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბოს ანტიინფლაციური პროგრამა, თუ რის გაკეთებას აპირებს, თუ შემდგომში ინფლაცია ზემოთ წავა. რასაც ხელისუფლება ამ მიმართულებით აკეთებს, ფრაგმენტულია.

***— რადგან ინფლაციას შევეხეთ, ექსპერტების განცხადებით, ეროვნული ბანკი სწორ პოლიტიკას ახორციელებს.***

— ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა უდავოდ პოზიტიურია, რადგან ლარის კურსი ასე თუ ისე რაღაც კორიდორში მერყეობს. ამიტომ ეროვნულ ბანკს აქვს იმის საშუალება, რომ ლარის კურსი დაიჭიროს. თუმცა ეროვნული ბანკი ცდილობს, რომ ლარის კურსი დაწიოს. ამისთვის 60 მლნ-ის დოლარი შეიძინა ანუ ლარი გამოუშვა, რათა ლარის კურსი დაეწია, მაგრამ ხომ ხედავთ, შედეგი არ არის. რა თქმა უნდა, ეს არის დადებითი იმ გაგებით, რომ ექსპორტი გაზრდილია. აქედან შემოსავლებმა იმატა. დაახლოებით 30-35%-ით არის გაზრდილი ექსპორტი. არ გამოვრიცხავ, რომ ინვესტიციებიც შემოდის. მარტო უცხოეთში მცხოვრები ქართველების მიერ გადმორიცხული თანხების ხარჯზე იყოს ლარის კურსის გამყარება დამოკიდებული, წარმოუდგენელია. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა, მეორე მხრივ, მარტო მონეტარული პოლიტიკა საკმარისი არ არის. ამასთან ერთად გამართული უნდა იყოს ფისკალური პოლიტიკა. ე.ი. ერთი მხრივ, მონეტარული პოლიტიკა დგამს პოზიტიურ ნაბიჯებს, მეორე მხრივ, ბიუჯეტის დეფიციტი ძალიან მაღალია. ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შემცირდეს. გარდა ამისა, არაეფექტიანი ხარჯების შემცირებაზე უნდა ვიფიქროთ. თუ ფისკალური პოლიტიკა გამართული და ადეკვატურია, მაშინ ინფლაციური პროცესი ისევ ზევით წავა.

***— ლარის კურსის მსგავსი გამყარება სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვასთან წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის?***

— თავისთავად, წინააღმდეგობაში მოდის ის, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ ინფლაციის ტემპი უნდა ყოფილიყო 6%. ინფლაცია თავისთავად ცუდი კი არ არის, მაღალი ინფლაციაა ცუდი, თორემ ზომიერი ინფლაცია, რაც განისაზღვრება მთავრობის პოლიტიკით, დასაშვებია. ცუდია, როცა ინფლაცია მაღლა მიდის. დღეს ინფლაცია 13%-ია.

***— ინფლაციის ეს მაჩვენებელი საგანგაშოა?***

— 13% არის ძალიან მაღალი, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საგანგაშო. თუ ინფლაცია გრძელვადიან პერიოდში გაიწელა და ისევ ზევით წავიდა, ეს მოსახლეობისთვის ძალიან საგანგაშო იქნება. ამან შეიძლება ეკონომიკაში ძალიან მძიმე შედეგები მოიტანოს. ინფლაცია მარტო მოსახლეობას არ აზარალებს, ის იწვევს ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპების შემცირებას. ანუ როდესაც ინფლაცია მაღალი გაქვს, ინფლაციური პროცესები ხელს უშლის ეკონომიკის რეალურ ზრდას. ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის. ამიტომ, თუ ინფლაცია 20-25%-ს აღწევს, ეს უკვე ეკონომიკისთვის იქნება დამღუპველი და არის საგანგაშო. გარდა ამისა, ნონსენსია. ადრეც ვახსენე და ვიმეორებ, თუ ლარი მყარდება, რატომ იმპორტზე ფასები არ იწევს. ესეც მეორე მხარეა. თუ ლარი გამყარდა, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ნაკლები ლარით ყიდულობ მეტ დოლარს. შემოტანილ პროდუქციაზე ფასები უნდა გაიაფდეს გრძელვადიან პერიოდში. რატომ არ ხდება ეს?!

***— მონოპოლისტების ინტერესებიდან გამომდინარე არ ხდება ფასების დაწევა?***

— რამდენიც გინდა იძახე, მაინც იგივეა. ეს არის მონოპოლიური გარემო, ამის შესახებ არაერთხელ ვთქვით. ლარის კურსის გამყარება, ერთი მხრივ, ექსპორტს უშლის ხელს, მაგრამ იმპორტის მასტიმულირებელია და იმპორტზე ფასებმა უნდა დაიწიოს. ეს არ ჩანს. ამერიკამ რა გააკეთა იცით? ექსპორტი რომ გაეზარდა, შეგნებულად უნდოდა დოლარის კურსი დაეწია. ამიტომაც ადგა და 600 მლრდ-ის დოლარი გამოუშვა მიმოქცევაში და ამოიღო ობლიგაციები, ანუ ადრე გაცემული სახელმწიფო ობლიგაციების შესყიდვა დაიწყო. ანალოგიური გააკეთეს არაევროკავშირის ქვეყნებმაც იაპონიამ, სამხრეთ კორეამ. ამერიკას ჩინეთთან დისბალანსი ჰქონდა და ამიტომ გააკეთა. ამ ინსტრუმენტების გამოყენება აუცილებელია. აქაც სახელმწიფომ ეს ინსტრუმენტები უნდა გამოიყენოს. პირველი, რაც სახელმწიფომ უნდა გააკეთოს, უნდა შეამციროს არაეფექტიანი ხარჯები. ანუ ბიუჯეტის დეფიციტი უნდა შემცირდეს. ბიუჯეტის დაფინანსების წყარო ხშირად არის პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, რაც მეტნაკლებად ინფლაციის წარმომშობია; და მეორე — ეს არის კრედიტები, რომელიც საგარეო ვალების ხარჯზე მივიღეთ. არ გამოვრიცხავ, გარკვეული საინვესტიციო პროექტებიც შემცირდეს. იმიტომ, რომ ყველა ფულადი ინექციის შეშვება მაინც ინფლაციის წარმომშობია. იმიტომ, რომ ინფლაცია მაინც საბოლოოდ არის ფულადი მოვლენა. ფულის მიმოქცევის ზრდა ინფლაციის წარმომშობია. უფრო მეტიც, მონეტარისტები ამბობენ, რომ ინფლაცია იწყება მაშინ, როცა ფულის ადეკვატური მასა მიდის იმის, რომ პროდუქციის შესყიდვა მოხდეს. თორემ თავისთავად გატანილი საქონელი თუ არ შეისყიდე, ინფლაცია არ არის. ამიტომ ეს ხარჯები აუცილებლად შესამცირებელია. უამრავი ხარჯია იგივე კულტურულ-გასართობი ღონისძიებების ხარჯები. წეღანაც ვთქვი, შეიძლება უფრო მკაფიო ნაბიჯებიც გადაიდგას. ჩვენ ახლა ისეთ ხარჯებს არ უნდა მოვკიდოთ ხელი, რაც პრიორიტეტულია და სახელმწიფომ თავის თავზე აიღო, როგორიც არის, მაგალითად, სოფლის მეურნეობა.

***— მნიშვნელოვანი პრობლემაა სახელმწიფო საწარმოებიც, რომელიც ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს.***

— სახელმწიფო საწარმოებთან მიმართებაში ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ის პოლიტიკა, რაც აქვს პრივატიზაციასთან მიმართებაში. ხომ იძახიან, ყველაფერი გავყიდოთ ნამუსის გარდაო. რატომ არ ყიდიან ამ საწარმოებს? ვის სჭირდება ეს 1450 დანგრეული საწარმო, რომელიც არის ზარალიანი და სადაც მოკალათებული არიან ყოფილი ჩინოვნიკები, ყოფილი პარლამენტარები. მე საწინააღმდეგო არავისი მაქვს, მაგრამ ის, რომ ეს საწარმოები არის წამგებიანი და ისინი არიან მენეჯერებად, არიან სამეთვალყურეო საბჭოში, იღებენ ხელფასებს, ეს არის ყოვლად წარმოუდგენელი. ასე იყო ადრეც. წარმოგიდგენიათ, საწარმო ზარალიანია და მის მენეჯერებს, მოადგილეებს, რომელთა უშუალო მოვალეობაა ამ საწარმოების ეფექტიანი ფუნქციონირება, ხელფასი შეიძლება 1000-1500 ლარიც კი ჰქონდეთ.

***— იქნებ ამ საწარმოებს შეგნებულად არ ყიდიან, რადგან გარკვეული ნაციონალების ინტერესებში ჯდება ანუ უკვე განაწილებულია?***

— გაინაწილონ, ბატონო, ოღონდ სახელმწიფოს ხარჯზე ნუ არის. სახელმწიფო ნუ არის დამფუძნებელი. გაყიდონ 1 ლარად, გამოაცხადონ ნულოვანი აუქციონი. მიყიდონ პირდაპირი მიყიდვის წესით, მაგრამ სახელმწიფომ მოიშოროს ეს საწარმოები. გარდა იმისა, რომ ეს მძიმეა ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ცრუ ინფორმაციას იძლევა ეკონომიკაში. თითქოს გვაქვს საწარმოები და ფუნქციონირებს და არანაირ მოგებას არ იძლევა. მეორე მხრივ, იცით, რა ხდება? ვიღაცას მოეწონება იმ შენობის ფლიგელი, ამოიღე საწესდებო კაპიტალიდან და მომყიდე. მეორეს კიდევ რაღაც მოეწონება და ასე იშლება საწარმოები. 2002 წლიდან არაფერი შეცვლილა. რაც იყო, ისევ ის მდგომარეობაა. 1450 საწარმოა — სააქციო საზოგადოება, ზოგი შპს-ა. აქედან 1200-მდე საწარმო წამგებიანია. ეს არის სასწაული.

***— რატომ არ იშორებს ამ საწარმოებს სახელმწიფო?***

— არ ვიცი. ვფიქრობ, სახელმწიფომ მაქსიმუმ 10 საწარმო უნდა დაიტოვოს, დანარჩენი მოიშოროს. სახელმწიფოს არ სჭირდება ამხელა საწარმოთა მართვის სააგენტო. უნდა შექმნას ჰოლდინგი. საწარმოთა მართვის სააგენტო ჩემი შექმნილია, მაგრამ მან თავის ფუნქცია უკვე ამოწურა. ახლა უნდა შეიქმნას ჰოლდინგი, სადაც მხოლოდ 10-15 საწარმოა გაერთიანებული.

***— ევროობლიგაციების კუთხით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა გურგენიძის პრემიერობის პერიოდში. მთავრობის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა ძველი ვალების დასაფარად ახალი 500 მლნ-იანი ვალი აიღოს. გილაურის მხრიდან სწორი გადაწყვეტილებაა?***

— ეს არის გარკვეულწილად ვალების რესტრუქტურიზაცია ანუ ვალების გადახდის ეტაპი რაღაც დროით გადაიწევს. მთავარია, როდის მოხდება ახალი ობლიგაციების გამოშვება. თვითონ ევროობლიგაციების გამოშვება და ბაზარზე განთავსება, პოზიტიურია, რადგან ეკონომიკურ ინტეგრაციას უწყობს ხელს. ეს რა არის: ვალით ფარავ ვალს. პირამიდას მაგონებს.

***— როგორ არის ევროობლიგაციების გამოშვება პოზიტიური, ეს ხომ საგარეო ვალის გაზრდას უწყობს ხელს?***

— ისინი საუბრობენ, რომ შედარებით დაბალი პროცენტი იქნება. თუმცა დიდი სხვაობა არ არის 7% და 7,5%. ეს არაფერს ნიშნავს. ამ ეტაპზე ეკონომიკური თვალსაზრისით ევროობლიგაციების გამოშვება კარგია, მაგრამ მეორე მხრივ, ეს არის დამატებითი საგარეო ვალების ზრდის ფორმატში. ვალების რესტრუქტურიზაცია ხდება, ახალი არაფერია.

### ნონა გაფრინდაშვილს — 70 წლის, გია ბურჯანაძეს კი 50 წლის იუბილეს ულოცავენ

„სახალხო კრება" ნონა გაფრინდაშვილს — 70 წლის, გია ბურჯანაძეს კი 50 წლის იუბილეს ულოცავს. კრების აღმასრულებელი საბჭოსა და სათათბირო დარბაზის წევრები, კომიტეტების ხელმძღვანელები, ახალგაზრდული მოძრაობა, „შეფიცულები" საქართველოს ღირსეულ მამულიშვილებს დღეგრძელობასა და კიდევ არაერთ წარმატებას უსურვებენ.

— დარწმუნებულნი ვართ, ქალბატონი ნონა და ბატონი გია, ხალხთან ერთად, ქვეყნის გადარჩენისთვის დაწყებულ ბრძოლაში ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწევენ, — ნათქვამია „სახალხო კრების" მიერ გავრცელებულ მილოცვის წერილში.

ინტერპრესნიუსი

### ინფლაციის შემცირება ივნისიდან დაიწყება

საერთაშორისო სავალუტო ფონდში მიიჩნევენ, რომ საქართველოში ინფლაცია კლებას ივნისიდან დაიწყებს და 2011 წლის ბოლოსთვის 8,5 პროცენტამდე დაიწევს. როგორც ფონდის მუდმივმა წარმომადგენელმა და მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში ედვარდ გარდნერმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ინფლაციის მაჩვენებლის კლების პროცესი ენერგომატარებლებისა და საკვების ფასების სტაბილურობის პარალელურად მოხდება, რადგან ინფლაციის ზრდა თავის დროზე სწორედ მათმა გაძვირებამ გამოიწვია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიაში აღნიშნავენ, რომ საბაზო ინფლაცია (რომელიც საწვავისა და საკვების ფასების გარეშე არის დათვლილი) კვლავაც დაბალია და 2 პროცენტის დონეზეა. ქვეყნის მონეტარული პოლიტიკა კი ინფლაციის კლების მიზანს შეესაბამება. ედვარდ გარდნერის თქმით, ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი მოსალოდნელზე უკეთესია.

— მნიშვნელოვნად გაზრდილი ექსპორტი, მათ შორის, ტურიზმი და ძლიერი კერძო ფინანსური ნაკადები, საწვავის იმპორტის მაღალი ფასის ნეგატიურ გავლენას ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე სრულად გადაფარავს. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია იმედოვნებს, რომ ეროვნული ბანკის წმინდა სარეზერვო პოზიცია 2011 წელს იმაზე მეტად გაუმჯობესდება, ვიდრე თავდაპირველად იყო ნავარაუდევი,— აღნიშნა ედვარდ გარდნერმა.

მისი თქმით, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 3,6 პროცენტამდე დაიკლებს. 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი 6,6 პროცენტი იყო. ფონდში მიიჩნევენ, რომ ამ მონაცემის გაუმჯობესება ხარჯების შემცირებისა და შემოსავლების ზრდის წარმატებული მცდელობების შედეგია.

მედიანიუსი

### სამხრეთ ოსეთში ყველა ბენზინგასამართი სადგური დაიხურა

სამხრეთ ოსეთში საწვავის დეფიციტია. ამის შესახებ სააგენტო „რესი" იუწყება. ცხინვალის ნევთობბაზის ხელმძღვანელის ალან ჯიოევის განცხადებით, საწვავის კრიზისი ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთში არსებულმა კრიზისმა გამოიწვია, რამდენადაც საწვავის ყველა სახეობა დე-ფაქტო რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციიდან შედის.

— ამ დროისთვის სამხრეთ ოსეთში ყველა ბენზინგასამართი სადგური დაკეტილია, რამდენადაც ბენზინის მარაგი, რომელიც იყიდება ჩვენთან და რუსეთიდან შემოდის, უკვე ამოწურულია, — განაცხადა ჯიოევმა.

მისივე თქმით, მოსალოდნელია ბენზინის გაძვირება, რაც, თავის მხრივ, რუსეთის შეტანისას საბაჟო გადასახადის გაზრდას უკავშირდება. ჯიოევის ინფორმაციით, თუ ადრე ერთი ტონა ბენზინის განბაჟება 239 აშშ დოლარი ღირდა, 1 მაისიდან ეს ფასი 408 აშშ დოლარი გახდა.

ინტერპრესნიუსი

### სირიაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდებენ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სირიაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე აღნიშნულ ქვეყანაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს, ქვეყნის ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდებს. სამინისტრო ასევე აფრთხილებს იმ ადამიანებს, ვინც სირიაში ცასვლას გეგმავს უსაფრთხოების მიზნით თავი შეიკვონ გამგზავრებისგან.

საგარეო უწყების ინფორმაციით, სირიაში ამჟამად საქართველოს რამდენიმე მოქალაქე იმყოფება. ესენი არიან: სტუდენტები და ბიზნესმენები. მათი ცნობით, აღნიშნული პირები თვითონ დაუკავშირდნენ სამინისტროს ცხელი ხაზის მეშვეობით. ამჟამად მათ საფრთხე არ ემუქრება.

— სირიაში საქართველოს საელჩო არ მუშაობს, ამიტომ ეგვიპტეში არსებული საელჩოს წარმომადგენლები მათ დასახმარებლად ყველაფერს გააკეთებენ, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

მედიანიუსი

ნანა მიშელაშვილი

# რატომ არ იცავენ საქართველოში ჟურნალისტების უფლებებს

**დეპუტატებს მედიის დღე გაახსენდათ. 3 მაისი მსოფლიო მედიის დღეა. საპარლამენტო ოპოზიციამ და უმრავლესობამ შანსი ხელიდან არ გაუშვეს და მსოფლიო მედიის დღე ერთმანეთის გასაკრიტიკებლად გამოიყენეს.**

**ქართველი ჟურნალისტებისთვის ამ დღის მილოცვის შემდეგ ოპოზიციამ და უმრავლესობამ თავისებურად გაიგეს „ფრიდომ ჰაუსის“ მონიტორინგის შედეგები.**

საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსმა“ მსოფლიოში მედიის თავისუფლების შეფასების 2010 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. საქართველო, 2009 წლის მონაცემთან შედარებით, 4 ქულით დაწინაურდა და 55 ქულით მალავისთან და მოლდავეთთან ერთად ერთნაირი შეფასება მიიღო. ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მედია მხოლოდ „ნაწილობრივ“ არის თავისუფალი და ახლოს არის იმ ზღვართან, რომლის ქვემოთაც უკვე პრესის მდგომარეობის კუთხით „არათავისუფალი“ ქვეყნების ჩამონათვალი იწყება.

196 გამოკვლეული ქვეყნიდან 2010 წლის განმავლობაში არათავისუფალი აღმოჩნდა 63 ქვეყანა — მათ შორის, რუსეთი, სომხეთი, ყაზახეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი და ავღანეთი, 65 ქვეყანაში მედია ნახევრად თავისუფალია — მათ შორის არიან ბალკანეთის ქვეყნები, ასევე უკრაინა, ყირგიზეთი, მოლდოვეთი და საქართველო.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის შეფასებით, ქართველ ჟურნალისტებს მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებით მისალოცი ბევრი არაფერი აქვთ.

თარგამაძის შეფასებით, „ფრიდომ ჰაუსის“ მიერ სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად საქართველო კვლავ ნახევრად თავისუფალ ქვეყნებს შორის მოხვდა. გიორგი თარგამაძემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მედიაში პრობლემები რჩება, საქართველომ ამ მხრივ 4 პუნქტით წინ წაიწია და ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლობის მონიტორინგის შედეგები, რომელმაც აჩვენა, რომ 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლობის ბალანსი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ცენტრალურ ეთერში წინა წლებთან შედარებით განსხვავდებოდა. □ — სამწუხაროდ, 2011 წელს ისეთი შედეგები გვაქვს, რომ თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, შესაძლოა, კვლავ უკან დავიწიოთ, — განაცხადა თარგამაძემ და დასძინა, რომ პარლამენტის მიერ სამაუწყებლო კომპანიების მფლობელთა მედიაგამჭვირვალობის კუთხით გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ არის.



გიორგი თარგამაძე მოითხოვს, რომ პარლამენტმა დაიწყოს იმ კანონპროექტთა პაკეტის განხილვა, რომელიც მომზადებულია მედიაექსპერტების მიერ და ქრისტიან-დემოკრატებმა შეიტანეს პარლამენტში.

კანონპროექტთა ეს პაკეტი უკვე რამდენიმე თვეა, რაც პარლამენტში დევს, თუმცა, მას მსვლელობა არ მისცემია. კანონპროექტთა პაკეტი შეეხება: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ქართულ სატელევიზიო მედია ბაზარზე მონოპოლისტური სიტუაციის დანგრევას, სატელევიზიო სიხშირეების წესის გაცემის წესის გამარტივებას, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ჟურნალისტების მხრიდან სასამართლოებში აღძრული საქმეების მიმართ პროცედურების გამარტივებას. □ — თუ ჩვენ გვინდა კარგად ინფორმირებული ამომრჩეველი, ამისთვის ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ მედიაგამჭვირვალობა და მედიის უკეთესი მუშაობა, — აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

ოპოზიციისგან განსხვავებით, სხვა მონაცემები ამოიკითხა „ფრიდომ ჰაუსის“ კვლევაში საპარლამენტო უმრავლესობამ. აკაკი მინაშვილმა განაცხადა, მას სურს ანგარიშთან დაკავშირებით საზოგადოებას რეალური ინფორმაცია მიაწოდოს.

მინაშვილის თქმით, პირველი და მნიშვნელოვანი, რაც ამ ანგარიშში წერია, არის ის, რომ საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან წინსვლას და წარმატებას მედიის თავისუფლების სფეროში გაუმჯობესებული პოლიტიკური და სამართლებრივი გარემოს და საზოგადოებრივი მაუწყებლის დაბალანსებულობის გამო.

— ეს არის მთელი სული, აქცენტი და ხაზი საქართველოსთან მიმართებაში, — განაცხადა აკაკი მინაშვილმა. მისივე აზრით, ანგარიშში საქართველო გამოყოფილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა, რომელმაც წინ წაიწია და განავითარა მედიის სფერო.

აკაკი მინაშვილი ასევე საუბრობს იმაზე, რომ სასამართლოში ჟურნალისტების წინააღმდეგ საქმეს ვერავინ იგებს. მისი თქმით, სასამართლოსთან დაკავშირებით ძალიან ლიბერალური კანონმდებლობა პარლამენტმა ჯერ კიდევ 2004-05 წლებში მიიღო და შედეგად, ჟურნალისტების წინააღმდეგ სასამართლოში საქმეები თითქმის არ არსებობს.

უმრავლესობის წევრის თქმით, ეს ხდება იმიტომ, რომ რთულია ჟურნალისტი დაადანაშაულო და მერე დაამტკიცო, რომ მან არასწორი ინფორმაცია გაავრცელა.

— ძალიან მცირერიცხოვანი საქმეებია ჟურნალისტების წინააღმდეგ და ყველა საქმეში ჟურნალისტი იგებს, იმდენად გართულებულია ჟურნალისტის ან ნებისმიერი ადამიანის დადანაშაულება, რომელმაც პოზიცია გამოხატა სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში, — განაცხადა მინაშვილმა.

რაც შეეხება ამომრჩევლების ინფორმირებას, მინაშვილი ამბობს, რომ ამომრჩეველთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ მედიის საშუალებით საკმარისი ინფორმაცია აქვთ არჩევანის გასაკეთებლად.

— საქართველომ მედიის სფეროში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ხელშესახები რეფორმა და წარმატება სახელმწიფოსი, — განაცხადა მინაშვილმა.

უმრავლესობის წევრს ვეფხვაძემ უპასუხა. „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრი ლევან ვეფხვაძე ხელისუფლებას ურჩევს გაიხსენონ თუნდაც ერთი ფაქტი, როდესაც ჟურნალისტმა სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვებასთან დაკავშირებით საქმე მოიგო.

ლევან ვეფხვაძის თქმით, თუ ხელისუფლებას არ ახსოვს ფაქტი, რომ ვინმეს ჟურნალისტის წინააღმდეგ საქმე მოეგოს, არც მას ახსოვს ჟურნალისტის მიერ მოგებული საქმე. ვეფხვაძე იმ „ჩემპიონ“ სტრუქტურებზეც აკეთებს მინიშნებას, რომლებიც უარს ამბობენ საჯარო ინფორმაციის გაცემასა და მედიასთან თანამშრომლობაზე.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერის თქმით, 2006 წლიდან დღემდე საერთო მაუწყებლობაზე ლიცენზია არ გაცემულა, რადგან ამ სფეროში სისტემა ჩაკეტილი და გაჭედილია.

— თუ არ იქნა პლურალისტური და თავისუფალი გარემო, თუ არ შემოვიდნენ ახალი მოთამაშეები სამაუწყებლო მედიაში, ბუნებრივია, ამ მხრივ არ იქნება მიღწეული მთავარი, როცა ადამიანს შეუძლია მიიღოს ერთ არხზე ერთი ინფორმაცია, მეორეზე კი მეორე, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

ქრისტიან-დემოკრატების წევრის თქმით, სამწუხაროდ, მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელსაც არ აქვს საშუალება ზოგიერთი დამოუკიდებელი მაუწყებლის მიღების, ყოველთვის ერთი სახის ინფორმაციის გავლენის ქვეშ არის.□ ლევან ვეფხვაძემ უმრავლესობის წევრი აკაკი მინაშვილი „ფრიდომ ჰაუსის“□ დასკვნის შინაარსის უტრირებაში დაადანაშაულა.

— თქვენ უტრირებას ახდენთ იმ სიტყვებისა, რაც მოყვანილია საქართველოსთან მიმართებაში. ის ფრაზა, რაც თქვენ საქართველოსთან დაკავშირებით ახსენეთ, მოლდოვასთან მიმართებაშია დაფიქსირებული,

**გაგრძელება მე-8 გვერდზე**

# იხსენით პატიმარი სიკვდილისაგან!

ნანა მიშელაშვილი

**ოპოზიცია სახალხო დამცველის ანგარიშის დროულად განხილვას მოითხოვს. ოპოზიციამ გიორგი ტუღუშის ანგარიშის განუხილველობის გამო პრეტენზია კიდევ ერთხელ გამოთქვა.**

— ბატონებო, ვინმეს ახირება კი არა აქვს, რომ სახალხო დამცველის ანგარიში მოვისმინოთ, ამ ანგარიშის დროული მოსმენა აუცილებელია, — მიმართა კოლეგებს ჯონდი ბაღათურიამ.

— სირაქლემას პოზიცია ნუ გვაქვს, განვიხილოთ სახალხო დამცველის ანგარიში, იქიდან ხომ არ ამოიშლება, რაც იქ წერია? — იკითხა ბაღათურიამ.

ომბუდსმენის ანგარიშის განხილვა სხვა დეპუტატებმაც მოითხოვეს. დიმიტრი ლორთქიფანიძე სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვას იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ითხოვს.

— სწორედ ამ კომიტეტებზე მოსმენის შემდეგ უნდა შედგეს იმ დადგენილების პროექტი, რომელმაც შემდგომში ასახვა უნდა ჰპოვოს პლენარულ სხდომაზე საანგარიშო მოხსენების საბოლოო განხილვის შემდეგ, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

შეგახსენებთ, რომ პარლამენტში სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიში 31 მარტს შევიდა. სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა კომიტეტში 10 მაისს არის ჩანიშნული. საკმაოდ სქელტანიან ანგარიშში სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის კუთხით არსებულ სიტუაციაზე საუბრობს.

სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვამდე, პატიმართა სიკვდილიანობის ზრდაზე ისაუბრა დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ. მისი განცხადებით, 2011 წელს უკვე 45 ადამიანი გარდაიცვალა.

ლორთქიფანიძემ ბოლო შემთხვევაზეც ისაუბრა, რომელიც თადლიაშვილის გარდაცვალებას შეეხება. ლორთქიფანიძე მთავარ პროკურატურას მოუწოდებს, მსჯავრდებულ თადლიაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით დანაშაული გამოიძიოს.

დიმიტრი ლორთქიფანიძემ აღნიშნა, მხოლოდ მიმდინარე წელს პენიტენციალურ სისტემაში 45 პატიმარი გარდაიცვალა, თუმცა, უკანასკნელი, მსჯავრდებული თადლიაშვილის გარდაცვალების ფაქტი ცალკე აღსანიშნავია, რომელიც რუსთავის ნომერ მეექვსე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაიღუპა.

— თავად მსჯავრდებული თადლიაშვილის და მისი ადვოკატის მიერ გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ატეხილი იყო განგაში, რომ მასზე ზეწოლას ახორციელებდნენ. იმედს ვიტოვებ, რომ ამჯერად მაინც საქართველოს მთავარი პროკურატურა გამოიჩენს ნებას და დროულად გახსნის ამ დანაშაულს, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

დეპუტატმა ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ გარდაცვალება ძალიან საეჭვო გარემოებაში მოხდა და მსჯავრდებული გარდაცვლილია სახვევი ბინტის გამოყენებით.

— როგორ აღმოჩნდა სამარტოო საკანში სახვევი ბინტი, მაშინ, როდესაც მისი ადვოკატის მტკიცებით, მას ბინტი არ ესაჭიროებოდა. ეს არის ის გარემოება, რომელზეც უნდა იმსჯელოს პროკურატურამ, — განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დეპუტატმა კიდევ ერთ ადამიანზე ისაუბრა და დეპუტატებს მოუწოდა, მისი სიცოცხლე იხსნან. დიმიტრი ლორთქიფანიძემ პარლამენტის თავმჯდომარეს მსჯავრდებული ზვიად სტეფნაძის საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობა სთხოვა.

— სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და ჯანდაცვის სამინისტროების მესვეურთა დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად კვლავ არ მუშაობს უწყებათაშორისო მუდმივმოქმედი სამედიცინო კომისია, არადა საპატიმროების სამკურნალო დაწესებულების სარეცელზე მიჯაჭვული ათეულობით მსჯავრდებული ელოდება მათ გადაწყვეტილებას, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა მსჯავრდებულ ზვიად სტეფნაძის საქმე მოიყვანა, რომელსაც ღვიძლის ციროზი აქვს და მისი გადარჩენის ერთადერთ გზას ღვიძლის ინპლანტაცია წარმოადგენს.

— ოჯახის მიერ მობილიზებულია რესურსები, რომ მას თურქეთში, ქალაქ იზმირში შესაბამისი ოპერაცია ჩაუტარდეს, რაზეც თანხმობაც არის მოსული, თუმცა, სასჯელაღსრულებისა და ჯანდაცვის სამინისტროები ხმას არ იღებენ ამის შესახებ და მისი განცხადება ამ დრომდე არ განუხილავს მუდმივმოქმედ კომისიას, — აღნიშნა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

დეპუტატის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს ოპერაციის გაკეთების უფლებას არ მისცემენ, რამდენიმე დღეში იგი შეიძლება გარდაიცვალოს. ამ საკითხზე ლორთქიფანიძეს უმრავლესობის წევრები და დავით ბაქრაძე არ გამოხმაურებია.

სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილ ფაქტებზე გაამახვილა ყურადღება „ქრისტიან-დემოკრატმა“ მაგდა ანიკაშვილმა.□ ქრისტიან-დემოკრატები“ სახალხო დამცველის ანგარიშის იმ ნაწილზე საუბრობენ, სადაც ბავშვთა ზრუნვის სააგენტოზეა საუბარი. მაგდა ანიკაშვილის აზრით, სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვას კონკრეტული გადაწყვეტილება და რეკომენდაციები უნდა მოყვეს.

მაგდა ანიკაშვილის თქმით, ანგარიშში იმდენად მნიშვნელოვან და სერიოზულ პრობლემებზეა საუბარი, რომ მათი გადაჭრა დროულად უნდა მოხდეს.

— მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებში ჩატარებული მონიტორინგი არანაკლებ მწვავე და შოკის მომგვრელია, როგორც პატიმრებთან დაკავშირებული საკითხები. ბავშვთა სახლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები მოულოდნელიც კი აღმოჩნდა როგორც ოპოზიციისთვის, ისე ხელისუფლებისთვის, — განაცხადა ანიკაშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის შეფასებით, ანგარიშის განხილვის შედეგად შესაძლოა ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელობის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხიც კი დადგეს. ანიკაშვილს მიაჩნია, რომ შესაძლოა დადგეს სააგენტოს, როგორც ახალი უწყების მიზანშეწონილობის საკითხიც, რადგან რჩება შთაბეჭდილება, რომ ძველი მოდელი უკეთ და უფრო ეფექტურად მუშაობდა.

— არ შეიძლება დროში გაიწელოს ამ პრობლემის მოგვარება, — ასეთია მაგდა ანიკაშვილის პოზიცია.

ქრისტიან-დემოკრატ დეპუტატს პასუხი გასცა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ თოიძემ. მისი თქმით, ოპოზიციამ ბავშვთა სახლებთან დაკავშირებით აპოკალიფსური სურათი დახატა. ოთარ თოიძემ სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვამდე ამ საკითხის წამოწევა არაკორექტულად მიიჩნია.



ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე განმარტავს, რომ სექტემბრიდან 30-მდე მცირე ტიპის ბავშვთა სახლის შემოღებას გეგმავენ და სულ 70-მდე ბავშვთა სახლი იქნება.

სანამ სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვა დაიწყება, დეპუტატები წინასწარ კამათობენ. ისეთი პირი უჩანს, რომ გიორგი ტუღუშის მოხსენების განხილვა პარლამენტში საკმაოდ ხმაურიანი იქნება.

**ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა „გერგეთის“ დამფუძნებლებისა და წევრთა საყურადღებოდ!**

**2011 წლის 10 მაისს, 18 საათზე შედგება ი.ბ.ა. „გერგეთის“ საერთო კრება. დღის წესრიგი: ამხანაგობის თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ამხანაგობის იმ წევრთა საკითხის განხილვა, ვინც ამხანაგობაში შენატანი არ განახორციელა, თანახმად ამხანაგობის ხელშეკრულებისა.**

**ყველა დამფუძნებლისა და წევრის დასწრება სავალდებულოა. ვაფრთხილებთ ამხანაგობის თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი-გარი სვანიძესა და გიორგი გუჯაბიძეს, გამოცხადდნენ საერთო კრებაზე.**

# ლალიძეს რევოლუციის არ სჯერა

შორენა გონგლაძე



— ჩვენი პარტია 21 მაისის აქციებში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს გამოსვლები არ იქნება შედეგზე ორიენტირებული, — ეს განცხადება პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლალიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. გიორგი ლალიძის განცხადებით, ამ აქციებში მონაწილეობა არც ერთმა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკურმა პარტიამ არ უნდა მიიღოს.

— სახალხო კრებამ გააჟღერა მათი სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია, სადაც საუბარია იმაზე, რომ 21 მაისს დაიწყება საპროტესტო აქციები როგორც საქართველოს დედაქალაქში, ასევე რეგიონებში და ეს ყველაფერი დამთავრდება ხელისუფლების ცვლილებით. ჩვენი პარტია ცალსახად ემიჯნება სახალხო კრების ამ ინიციატივას. ჩვენ ამ აქციებში მონაწილეობას არ მივიღებთ, პირველ რიგში იმის გამო, რომ მიგვაჩნია, ეს არის უპერსპექტივო აქციები, არ იქნება შედეგზე ორიენტირებული და კიდევ ერთხელ გამოიწვევს ქართველ საზოგადოებაში იმედგაცრუებას. ეს არის გზა, რომელსაც სახალხო კრება და ნინო ბურჯანაძე კრემლის დავალებით ახორციელებენ. ეს არის გზა რევოლუციისკენ, გადატრიალებისკენ და ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არ არის ნორმალური პროცესი. ამ პროცესებში არც ერთმა ეროვნულმა ძალამ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ასევე ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ საზოგადოებას, ყველა პოლიტიკურ ძალას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, არ მიიღონ მონაწილეობა ამ აქციაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სააკაშვილის რეჟიმი შესაცვლელია, თუმცა, შესაცვლელია არჩევნების გზით და ჩვენ ყველა, სამოქალაქო საზოგადოება და პოლიტიკური პარტიები, უნდა ვემზადოთ მომავალი არჩევნებისთვის, ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ გააყალბონ არჩევნები, — აცხადებს გიორგი ლალიძე. მისივე თქმით, ხელისუფლების ცვლილების ერთადერთი სწორი გზა არჩევნებია.

— მერწმუნეთ, არჩევნების გზით შესაძლებელი იქნება ნაციონალური მოძრაობის ჩამოცილება ხელისუფლებიდან. აქედან გამომდინარე, თუ ოპოზიცია წავა სწორი გზით, ამ შემთხვევაში შედეგი აუცილებლად იქნება. თუ 21 მაისს ბურჯანაძემ და მისმა ამფსონებმა მოახერხეს გარკვეული არეულობის მოწყობა, რისი დიდი სურვილიც მათ აქვთ, მერწმუნეთ, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებას არაფერი დააკლდება. ამით იზარალებს მთლიანად ოპოზიციური სპექტრი და სააკაშვილის ხელისუფლებას გავუხანგრძლივებთ ქვეყნის სათავეში ყოფნას. ამით საზოგადოებას დაანახვებენ, რომ ოპოზიცია არაფრის გამკეთებელი არ არის და სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ულტერნატივოა. ასე ნამდვილად არ არის. მე მიმაჩნია, რომ ქართველ საზოგადოებას მართებს დიდი სიბრძნე. ჩვენ უნდა მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება და არ უნდა გავუშვათ ის შანსი ხელიდან, რომ უახლოეს წლებში სააკაშვილის რეჟიმი არჩევნების გზით ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას. თუ ისე განვითარდა პროცესები, როგორც სურთ ბურჯანაძეს, გაჩეჩილაძესა და მისთანებს, ეს ყველაფერი ქართველ ხალხს კარგს არაფერს მოუტანს, — განაცხადა გიორგი ლალიძემ.

— მე დაანონსებული თარიღების ნამდვილად არ მჯერა. როდესაც პარტია ასახელებს ხელისუფლების დასრულებისა და აქციების დაწყების თარიღს, შემდეგ ეს თარიღები გაურკვეველი მიზეზების გამო დროში იწევს. ეს სიბრიყვეა. ყველამ კარგად ვიცით, რომ არაერთხელ უშედეგოდ დასახელდა ასეთი თარიღები. საბოლოო ჯამში, ამ ყველაფერმა საზოგადოებაში ოპოზიციის მიმართ გამოიწვია იმედგაცრუება. ამით მთლიანად ოპოზიციას შეელახა იმიჯი. სიმართლე გითხრათ, არ მჯერა, რომ რაიმე კონკრეტულ შედეგზე იყოს ოპოზიციის განცხადებები ორიენტირებული, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ საზოგადოება არ არის მზად რევოლუციისთვის. ეს ფაქტია და, თუ ვინმეს უნდა, ყურადღება მიიქციოს მწვავე განცხადებების გაკეთებით, ეს უკვე სხვაა. როგორ აისახება გარკვეულ პერიოდში ეს ყველაფერი ამა თუ იმ ოპოზიციის იმიჯზე, სულ მალე დავინახავთ. ოპოზიციის ნაწილის მიერ გაკეთებული სულელური და არაფრისმომცემი განცხადებები ხშირ შემთხვევაში იმიჯს ულახავს მთლიანად ოპოზიციურ სპექტრს. ვფიქრობ, თითოეული პოლიტიკოსი მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს თავის მიერ გაკეთებულ განცხადებას. ჩვენ გვყავს ერთი ელექტორატი და არ შეიძლება, ერთმა რომელიმე პოლიტიკოსმა თავისი გაუაზრებელი განცხადებებით დააზარალოს მთელი ოპოზიციური სპექტრი. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები ვერ მოიპოვებენ ფართო საზოგადოების მხარდაჭერას და მათი იმედები, საბოლოოდ ჩაუგდონ რუსებს საქართველო, არ გამართლდება, — განაცხადა გიორგი ლალიძემ.

# პენსიონერებს შეცდომით დარიცხული ზედმეტი პენსიის უკან დაბრუნება აღარ მოუწევთ

პენსიონერებს შეცდომით დარიცხული ზედმეტი პენსიის უკან დაბრუნება აღარ მოუწევთ. შესაბამისი ცვლილებები სახელმწიფო პენსიის შესახებ საქართველოს კანონში შედის, რომლის ინიცირება პარლამენტის ბიუროს სხდომაზე დღეს მოხდა.

მისი ინიციატორია დეპუტატი გიორგი გოდაბრელიძე. კანონპროექტის თანახმად, 2011 წლის 1 მაისამდე ზედმეტად დარიცხული პენსია იმ შემთხვევაში, თუკი ზედმეტი თანხის დარიცხვა პენსიონერის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით არის განპირობებული, ლეგალიზაციას დაექვემდებარება. მასზე არ გავრცელდება კანონის ის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, ზედმეტად დარიცხული პენსიის დაბრუნება კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით არის შესაძლებელი.

მედიანიუსი

# რატომ არ იცავენ საქართველოში ჟურნალისტების უფლებებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

— განაცხადა ლევან ვეფხვაძემ და განმარტა, რომ საქართველოსა და ყირგიზეთთან დაკავშირებით მხოლოდ ფრაზა — „უმნიშვნელო წინსვლაა“ ნათქვამი.

არადა, აკაკი მინაშვილმა სხდომაზე განაცხადა, რომ ანგარიშში პირველი და მნიშვნელოვანი, რაც წერია, არის ის, რომ საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან წინსვლას და წარმატებას მედიის თავისუფლების სფეროში გაუმჯობესებული პოლიტიკური და სამართლებრივი გარემოს და საზოგადოებრივი მაუწყებლის დაბალანსებულობის გამო.

სხვა კუთხით დასვა საკითხი ჯონდი ბაღათურიამ. „ქართული დასის“ ლიდერი მედიაზე ზეწოლის ფაქტების შესასწავლად საპარლამენტო კომისიის შექმნას მოითხოვს.

ჯონდი ბაღათურიამ 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის ფაქტი გაიხსენა და აღნიშნა, რომ გაურკვეველია, ამ ფაქტთან დაკავშირებით რატომ არ არის სისხლის სამართლის საქმე აღძრული.

ჯონდი ბაღათურიას შეფასებით, ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც სიტყვის თავისუფლებისთვის ჟურნალისტები ისჯებიან.

— ბევრ ჟურნალისტზე თავდასხმის ფაქტი ვიცი და არც ერთი არ არის გამოძიებული, გარდა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში მომხდარისა და ისიც დაპატიმრებული არიან პირდაპირ ეთერში სტუმრად მყოფი ადამიანები, — აღნიშნა დამოუკიდებელმა დეპუტატმა.

ბაღათურიამ ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის ფაქტიც გაიხსენა და საგამოძიებო კომისიის შექმნაც მოითხოვა, თუმცა, მისი ინიციატივა მხარდაჭერილი არ აღმოჩნდა.

— როგორ შეიძლება მედიის თავისუფლებაზე საუბარი, როცა პირდაპირ ეთერში ყველამ იხილა „იმედში“ შეჭრისა და დარბევის, ჟურნალისტების ცემისა და ქონების განადგურების ფაქტი, — განაცხადა ბაღათურიამ.

„ქართული დასის“ ლიდერმა ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტების პერმანენტულ ცემის ფაქტებზეც ისაუბრა.

ბაღათურიას მიმართვის ადრესატი ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრები გახდნენ, რომლებიც 2007 წელს „იმედში“ მუშაობდნენ. □

— რადან ამას სამართალდამცავი ორგანოები არ იძიებენ, მივმართავ ჩემს კოლეგებს, ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილ თანამშრომლებს, რომლებიც დღეს პარლამენტში აქტიური ფრაქციით არიან წარმოდგენილი, შეიქმნას საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის მედიაზე განხორციელებული ზეწოლების, თავდასხმების ფაქტებს, ჟურნალისტთა ცემის ან ტელეკომპანიების დარბევის ყველა ფაქტს და დააყენებს შესაბამისი პირების პასუხისმგებლობის საკითხს, — მოუწოდა ბაღათურიამ ქრისტიან-დემოკრატებს.

„ქართული დასის“ ლიდერს „ქრისტიან-დემოკრატებმა“ უპასუხეს. მათ ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით 2007 წელს მომხდარი „ბარბაროსული ფაქტის გამოძიების იმედი არ აქვთ“.

ლევან ვეფხვაძის განცხადებით, 2008 წელს აღნიშნული საკითხი „ქრისტიან-დემოკრატებმაც“ დააყენეს, თუმცა, სამწუხაროდ, საკითხი ჩავარდა.

— სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არის პოლიტიკური ნება იმისა, რომ საკუთარი დანაშაული თუ შეცდომა საჯაროდ და მიუკერძოებლად იქნეს გამოძიებული. სამწუხაროდ, ეს ნება მმართველ გუნდს არ გააჩნია, — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

„ქართული დასის“ ლიდერმა კიდევ ერთ საკითხზე ისაუბრა. ჯონდი ბაღათურია კომპანია „სილქნეტს“ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში ადანაშაულებს.

ბაღათურიას თქმით, დღეს მედიაზე ზეწოლა და სიტყვის თავისუფლების ხელისშეშლა დასჯადი არ არის. მისი თქმით, ორი დღის წინ უსმინა კომპანია „სილქნეტის“ ხელმძღვანელს, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ „ხოში აქვს და არ ჩართავს ტელეკომპანია „მაესტროს“.□ — ვინმემ მისცა შენიშვნა, რომ ეს არის პირდაპირი დარღვევა სიტყვის, მედიის, სიტყვის გავრცელების თავისუფლებისა და მომხარებლის უფლებების?□— იკითხა ბაღათურიამ.□ „ქართული დასის“ ლიდერს პასუხი საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა აკაკი მინაშვილმა გასცა. მინაშვილმა ჯონდი ბაღათურიას გამოსვლა გააკრიტიკა.

მინაშვილმა ბაღათურიას გამოსვლაში „მოჩვენებითი ემოცია“ დაინახა, რომელსაც ბაღათურია წარმატებით ახორციელებს.

აკაკი მინაშვილის თქმით, დავა მიმდინარეობს კერძო სუბიექტებს შორის და ყველაფერი ისე ხდება, როგორც სხვა სახელმწიფოებში. აკაკი მინაშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი კერძო სუბიექტების გადასაწყვეტია და რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა პოლიტიკოსი და სახელმწიფოს წარმომადგენელი, უკეთესია.


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე ადიშარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე ადიშარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



# განცხადებები

- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.
- გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

## „ატლანტამ“ ნახევარფინალური სერია მოგებით გახსნა

„ატლანტა ჰოუქსი“ აღარ ხუმრობს. მას შემდეგ, რაც ზაზა ფაჩულიას გუნდმა პლეი ოფის პირველი რაუნდიდან აღმოსავლეთ კონფერენციის შარშანდელი ჩემპიონი „ორლანდო“ გამოაგდო, დღეს, გამთენიისას, ნახევარფინალური სერიის გახსნითი შეხვედრა სტუმრად „ჩიკაგოს“ 103:95 მოუგო.

ეს კი ის „ჩიკაგოა“, რომელმაც რეგულარულ ჩემპიონატში 82 მატჩიდან 62 გამარჯვება მოიპოვა და ამ შედეგით ნბა-ში ყველას აჯობა. ეს „ჩიკაგოა“, რომლის თავკაცი ტომ ტიბოდუ ორი დღის წინ ლიგის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. ახლა კი გაირკვა, რომ ნბა-ს ყველაზე პრესტიჟული პერსონალური ჯილდოც ჩიკაგოელისაა — ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, თუმცა, უკვე გადაწყვეტილია, რომ სეზონის უძვირფასესი მოთამაშის პრიზს „ბულსის“ ფეხმარდი გამთამაშებელი დერიკ როუზი მიიღებს.

ნბა-ში ასეა, სანამ ლიგა ოფიციალურად გამოაცხადებდეს რომელიმე კონკრეტული პრიზის მფლობელს, პრესაში თითქმის ყოველთვის ჟონავს გამარჯვებულის ვინაობა. ეს უფრო უძვირფასეს მოთამაშეს ეხება. რაც უფრო პრესტიჟულია პრიზი, მით უფრო უტყუარია წინასწარი ინფორმაცია მის მფლობელზე. რაც შეეხება ტომ დიბოდუს, მან სეზონის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი „ატლანტასთან“ სერიის გახსნითი მატჩის წინ ჩაიბარა.

აი, ასეთ მრისხანე გუნდს შუაგულ ჩიკაგოში, 20 ათასამდე ჩიკაგოელის თვალწინ მოუგო „ატლანტამ“, რომელმაც რეგულარულ სეზონში 44 მოგების წილ 38 მარცხი განიცადა და აღმოსავლეთ კონფერენციაში — მე-5, ხოლო სრულიად ლიგის მასშტაბით მე-13 ადგილი დაიკავა. ამ გამარჯვებით ატლანტელებმა სერიაში მოედნის უპირატესობა მოიპოვეს და აღმოსავლურ ფინალში გასასვლელადაც „ჩიკაგოზე“ უკეთეს სიტუაციაში არიან. რაც შეეხება მატჩს, ის არ ყოფილა ისეთი დაძაბული, როგორიც — წინა საპლეიოფო სერიაში „ატლანტა“-„ორლანდოს“ ბრძოლათა უმეტესობა. მართალია, პირველ მეოთხედში მოპოვებული ათქულიანი უპირატესობა ატლანტელებმა მეორეში გაანიავეს და დიდ შესვენებაზე მხოლოდ ქულიანი უპირატესობით (51:50) გავიდნენ, თუმცა, მეორე ნახევარში შეუდარებლად ათამაშდნენ. ჯორჯიელთა ლიდერმა ჯო ჯონსონმა 34 ქულა დააგროვა და გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, ისევე, როგორც ჯამალ კრაუფორდმა — შორი სროლების დიდოსტატმა სათადარიგო მოთამაშემ.

ზაზა ფაჩულიამ მიმდინარე პლეი ოფში ყველაზე ცოტა ხანს ითამაშა, თუმცა, ადრინდელ გამოსვლებთან შედარებით, ყველაზე შედეგიანი იყო. ქართველმა ცენტრმა „ორლანდოსთან“ გასულ მატჩებში 20, 23, 26 წუთიც კი დაჰყო მოედანზე, თუმცა 4 ქულაზე მეტი არ დაუგროვებია, „ჩიკაგოსთან“ მატჩში კი 8 წუთში 6 ქულა, 5 მოხსნა და 1 პასი მიითვალა. ზაზამ სროლები ასპროცენტიანი შედეგიანობით შეასრულა: 2-დან 2 საჯარიმო და 2-დან 2 ორქულიანი ჩააგდო. სერიის მომდევნო მატჩიც ჩიკაგოში 5 მაისს, გამთენიისას გაიმართება.

## ლუის სუარესი: „იმედი გვაქვს, „ტოტენჰემი“ ქულებს დაკარგავს“

„ლივერპულის“ თავდამსხმელმა ლუის სუარესმა იმედი გამოთქვა, რომ მის გუნდს პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილის შენარჩუნება შეუძლია, რომელიც ევროპის ლიგაში ასპარეზობის უფლებას იძლევა, ამისთვის კი აუცილებელია, „ტოტენჰემმა“ დარჩენილ ტურებში ქულები დაკარგოს.

„ლივერპული“ უდიდესი კლუბია, ამიტომ, უნდა ეცადოს, რომ მაქსიმალური რაოდენობის ტურნირში მიიღოს მონაწილეობა. ევროპის ლიგაში მოხვედრა ამჟამად ჩვენთვის მთავარი ამოცანაა.

სეზონის მეორე ნახევრის დასაწყისში ეს მიზანი, პრაქტიკულად, მიუღწეველი ჩანდა, მაგრამ მატჩები ზედიზედ მოვიგეთ. ახლა, სამწუხაროდ, ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული, ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ ჩემპიონატის ბოლომდე „ტოტენჰემი“ კიდევ დაკარგავს ქულებს, — თქვა სუარესმა.

## გალიანი ბერლუსკონის ემადლიერება

მთელი საფეხბურთო იტალია „მილანის“ გაჩემპიონების მოლოდინშია, ერთი ქულაც და მასიმილიანო ალეგრის გუნდი სკუდეტოს მოიპოვებს. თუმცა, შესაძლოა, „როსონერი“ უქულოდაც გახდეს ჩემპიონი და, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი „ინტერიც“ დაკარგავს ქულებს.

გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მასიმო ამბროზინი ამბობს, რომ იდიოტი უნდა იყო, ასეთი შანსი ხელიდან გაუშვა, ხოლო ადრიანო გალიანი მადლობას სილვიო ბერლუსკონის უხდის.

— შესანიშნავი სეზონია, რომელიც აუცილებლად დასრულდება ჩვენი გაჩემპიონებით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა მოვდუნდეთ და ბოლომდე არ დავიხარჯოთ. პირიქით, სწორედ ის ვითარებაა, როდესაც მთელი ძალები უნდა მოიკრიბო და ბოლო ნაბიჯი გადადგა დასახული მიზნის მისაღწევად. განსაკუთრებული მადლიერებით სილვიო ბერლუსკონი მინდა მოვიხსენიო, რომელმაც ფინანსები არ დაიშურა იმისთვის, რომ დღეს სკუდეტოსთან ასე ახლოს ვყოფილიყავით. იცით, რატომ ხდებოდა ბოლო წლებში „ინტერი“ ჩემპიონი? — იმიტომ რომ ტრანსფერებში ფული არ ენანებოდათ. ერთ ხანს გარკვეული პრობლემები შეგვექმნა ფინანსური კუთხით და ამიტომ ძალიან ჩამოვრჩით კონკურენტს, მაგრამ ისევ და ისევ ბერლუსკონის ძალისხმევით ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. რას ვაპირებთ ამ ზაფხულს? — ჯერ დასრულდეს სეზონი და ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. მასიმილიანო ალეგრი რომ გუნდში რჩება, ალბათ, ყველასათვის ნათელია. დავსხდებით მასთან ერთად და გავაანალიზებთ ყველაფერს — რომელ რგოლს სჭირდება გაძლიერება და ვინ შეიძლება, გადავიბიროთ. იქამდე სკუდეტო გვაქვს მოსაგები და, მოდით, სატრანსფერო საკითხებზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ, — აცხადებს გალიანი.

## რობერტო მანჩინი: „მომავალ სეზონში „სიტი“ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს“

ბოლო წლების განმავლობაში „მანჩესტერ სიტის“ მულტიმილიონერი მეპატრონე შეიხ მანსური უდიდეს თანხას ხარჯავს, მაგრამ გუნდი მისთვის სასურველ შედეგს ვერა და ვერ აღწევს. 2008 წლიდან მოყოლებული, აბუ დაბის ემირის რიგით მეხუთე ვაჟის დანახარჯმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. „სიტის“ იტალიელი მთავარი მწვრთნელი, რობერტო მანჩინი, საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია — თუკი გუნდმა მიმდინარე სეზონიც წარუმატებლად ჩაამთავრა, სავარაუდოდ, აპენინელს პოსტს დაატოვებინებენ. ინგლისის თასზე „სიტიმ“ მანჩესტერულ დერბიში „იუნაიტედი“ დაამარცხა და პლანეტის უძველესი გათამაშების, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. გადამწყვეტ მატჩში რობერტო მანჩინის გუნდი „სტოკ სიტის“ შეხვდება და თოთხმეტ მაისს დიდწილად მანჩინის სამომავლო ბედიც გაირკვევა.



***— თქვენი გუნდის გულშემატკივრებისთვის „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხება ყოველთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მით უმეტეს, როდესაც მათი საყვარელი კლუბი თანაქალაქელ „წითელ ეშმაკებს“ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის თასის ნახევარფინალში მოუგებს.***

— ძალიან გახარებულნი ვართ, ერთგულ გულშემატკივარს საზეიმო განწყობა რომ შევუქმენით. „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია, თანაც, ერთი მომენტიც გავითვალისწინოთ — სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი ბოლო ოცწლეულია, სეზონში ამ რანგის მატჩს რამდენიმეს ატარებს და „იუნაიტედის“ ფეხბურთელები მიჩვეული არიან გადამწყვეტ შეხვედრებში თამაშს. ეს უპირველესად მათ ფსიქოლოგიურ დაძაბულობას უხსნის. დააკვირდით, „უემბლიზე“ მატჩი როგორ დაიწყო. დაახლოებით 20-25 წუთის განმავლობაში ჩვენი ფეხბურთელები შებოჭილები გამოიყურებოდნენ. საბედნიეროდ, მათ ნერვული დაძაბულობა თანდათან მოეხსნათ, მეორე ტაიმში კი მოწინააღმდეგეს უკვე საკუთარ პირობებს ვკარნახობდით. მოხარული ვარ, ისეთი ძლიერი გუნდი რომ დავამარცხეთ, როგორიც „მანჩესტერია“.

***— „სიტის“ ინგლისის თასი 1969 წლის შემდეგ არ მოუგია. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევის შემდეგ, ალბათ, ფინალში „სტოკ სიტის“ დამარცხებასაც აპირებთ.***

— მეტად პრესტიჟული თასის დაუფლებას ერთადერთი მატჩი გვაშორებს და ცხადია, ყველა ზომას მივმართავთ, რათა სათასო ტურნირი მოვიგოთ. სტოკელებმა ნახევარფინალში შთამბეჭდავი თამაში აჩვენეს „ბოლტონ უონდერერზთან“ დაპირისპირებისას და მოწინააღმდეგე 5:0 გაანადგურეს. კარგად ვიცნობ „სტოკ სიტის“ და მასთან საბრძოლველად მაქსიმალური მონდომებით მოვემზადებით. პრემიერლიგის პირველ წრეში ამ გუნდთან გასვლაზე 1:1 ვითამაშეთ, მეორე საჩემპიონატო შეხვედრის გამართვა კი ბოლოსწინა ტურში გვიწევს. ასე რომ, „სტოკთან“ მიმდინარე სეზონის ფინიშზე ორი პრინციპული შეხვედრის ჩატარება მოგვიწევს.

***— „მანჩესტერთან“ სანახევარფინალო დაპირისპირებისას კვლავ უმტყუნა ნერვებმა მარიო ბალოტელის. შეხვედრის დასრულების შემდეგ მან უწმაწური სიტყვებით მიმართა იუნაიტედელ რიო ფერდინანდს, რაც აყალმაყალის საფუძველი გახდა და ფეხბურთელთა დაშოშმინებას გარკვეული დრო და დიდი ენერგია დასჭირდა.***

— მართალია, მსაჯის საფინალო ნიშნის შემდეგ მინდორზე შევედი, მაგრამ ბალოტელისა და ფერდინანდისგან შორს ვიყავი, ამიტომაც ჩემთვის ძნელია ამ ეპიზოდზე დეტალური საუბარი. ვიცი, ყველა ბალოტელის რომ ამტყუნებს. არ ვარ წინააღმდეგი, თუკი მას სათანადოდ დასჯიან, ოღონდ — სეზონის გადამწყვეტი თამაშების შემდეგ.

***— საპრემიერლიგო ამბებზეც ვისაუბროთ...***

— როდესაც ახალი გუნდის მშენებლობის პერიოდია, სეზონის განმავლობაში რამდენიმე ჩავარდნა გარდაუვალია. ასე იყო ნახევარფინალამდე, როდესაც „ლივერპულთან“ დავმარცხდით (0:3). ცხადია, „ენფილდ როუდზე“ დიდი ანგარიშით განცდილმა მარცხმა დაგვალონა, მაგრამ, კიდევ კარგი, რომ ჩვენი სუსტი თამაში საპრემიერლიგო შეხვედრას დაემთხვა და არა თასის უპრინციპულეს ნახევარფინალს. „მანჩესტერ სიტის“ უმთავრესი ამოცანა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. პირველობის დასრულებამდე ცოტაღა რჩება. ბედის ირონიით, უმთავრესი საჩემპიონატო შეხვედრის ჩატარება ათ მაისს უშუალო კონკურენტ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ მოგვიხდება, 14-ში კი „უემბლიზე“ თასის ფინალის გამართვა გვიწევს. სწორედ ეს ორი შეხვედრა იქნება „მანჩესტერ სიტისთვის“ გადამწყვეტი. იმედია, წლევანდელ დასახულ მიზანს მივაღწევთ, მომავალი აგვისტოდან კი „სიტი“ პრემიერლიგის პირველობისთვის ბრძოლაში ჩაებმება. ახალ სეზონში გუნდი მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

***— კლუბის მფლობელებთან როგორ დამოკიდებულება გაქვთ?***

— შეიხ მანსურსა და კლუბის პრეზიდენტ ჰალდუნ ალ მუბარაკთან საქმიანი ურთიერთობა მაქვს. მათ კარგად ესმით, რომ წარმატებული გუნდის მშენებლობას გარკვეული დრო სჭირდება, ამიტომაც მოთმინებით არიან აღჭურვილნი.

## კადიროვის სტადიონის გახსნაზე გროზნოში მარადონა, ფიგუ, ვიერი და ბარტეზი ჩავლენ

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა ნაკრები გროზნოში 11 მაისს ახმატ-ხაჯი კადიროვის სახელობის სტადიონის გახსნაზე ჩავა.

მსოფლიოს ნაკრებში დიეგო მარადონა, ალენ ბოგოსიანი, ფრანკო ბარეზი, ალესანდრო კოსტაკურტა, ლუიშ ფიგუ, მანუელ ამოროსი, რობერტო აიალა, რობი ფაულერი, ენცო ფრანჩესკოლი, სტივ მაკმანამანი, ჟან პიერ პაპენი, კრისტიან ვიერი, ივან სამორანო, ფაბიენ ბარტეზი შევლენ.

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების წინააღმდეგ ამხანაგური მატჩის სათამაშოდ გროზნოში ასევე მიწვეულნი არიან რუსეთის ცნობილი ფეხბურთელები, რომელთაც მოედანზე ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი გაუძღვება.

პროგრამაში მონაწილეობას რუსული ფეხბურთის ხელმძღვანელები, პრემიერლიგის კლუბების პრეზიდენტები და სპორტის მოღვაწეები მიიღებენ. ახმატ ხაჯი კადიროვის სახელობის სტადიონი 30.000 მაყურებელს დაიტევს.

აპრილის დასაწყისში ჩეჩნეთის სპორტის მინისტრმა ჰაიდარ ალხანოვმა განაცხადა, რომ კადიროვის სახელობის სტადიონის გახსნაზე ზინედინ ზიდანი ჩავა. ზიდანმა ჩეჩნეთის სპორტის მინისტრის განცხადება უარყო.

— საკმაოდ არასასიამოვნო იყო ორგანიზატორების განცხადების მოსმენა, მით უმეტეს, რომ ასეთი რამ სულ უფრო ხშირად ხდება, — თქვა ზიდანმა.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

## ძოძუაშვილმა პრესკონფერენცია კინაღამ ჩაშალა

ინფორმაცია არ მივიღეთ, ხმას არ ვიღებდით. ახლა გვინდა ყველაფერი ღიად გამოაშკარავდეს და საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს ყველაფერი. ამერიკაში ალ პაჩინოსა და რობერტ დე ნიროს აძლევენ „ოსკარებს“ და აქ ონიანი ისეთი შემსრულებელი და მსახიობი ყოფილა, რომ მათ არ ჩამოუვარდება. თვალის დახუჭვა აღარ შეიძლება და აქ იმიტომ მოგიწვიეთ, რომ ყველას აზრი მაინტერესებს, თუ როგორ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი ამ სიბინძურიდან.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შემდეგ სიტყვა არჩილ არველაძემ აიღო, რომელმაც განაცხადა, რომ აქამდეც ცნობილი იყო, რომ თამაშები იწყობოდა, მაგრამ ფაქტი არ არსებობდა და ყველას შერჩაო. ისიც დასძინა, რომ „გამიხარდა“, ეს ამბავი რომ მოხდა. ალბათ მიხვდით, თუ რა კუთხით იგულისხმა არველაძემ გახარება. მისივე თქმით, ეს ქართული ფეხბურთის სირცხვილია და თავად რცხვენია მომხდარის გამო. ერთია, ტყუპისცალმა ისიც დასძინა, რომ ასაკთან გათვალისწინებით მიეცეს ფეხბურთელებს სასჯელებიო.

არველაძის შემდეგ სიტყვა უკვე რევაზ ძოძუაშვილმა მოითხოვა და აქ დაიწყო ყველაფერი...

ძოძუაშვილის თქმით, ტოტალიზატორები ფეხბურთის ჭირია და ვინც ეს ავადმყოფობა საქართველოში შემოიტანა, მერე თავადაც ქართულ ფეხბურთს მიეტმასნა და საბოლოოდ მოსპოო. ახლა ტოტალიზატორში ვინც ფულს მოიგებს, იმას უფრო თვლიან ფეხბურთის მცოდნედ და სპეციალისტები აღარავის აინტერესებსო. ეს აღარავინ კი, როგორც გაირკვა,ფეხბურთის ფედერაცია ყოფილა, რადგან ძოძუაშვილმა პირდაპირ უთხრა სიჭინავას, თუ შენ მცოდნეები და სპეციალისტები გჭირდება, მე გვერდით რატომ არ გყავარო. კარგად იცით, რა სიბინძურეც არის ქართულ ფეხბურთში და ფიფა-უეფადან მაგის გაგება არ უნდა გჭირდებოდეთო. თქვენი ბრალია, რომ ისეთ ხალხს აძლევთ სამწვრთნელო ლიცენზიებს, ვისაც ეს არ ეკუთვნისო და ახლა ყველაფერი უკან გიბრუნდებათ „ქართული ფეხბურთის ცირკაჩებსო“.

ძოძუაშვილის ამ განცხადებას კამათი და აყალმაყალი მოჰყვა, რომელიც თითმის სიტყვიერ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. იქვე სიტყვა უცებ ქეცბაიამ აიღო...

— ახლა მაღალფარდოვანი საუბარი ყველას შეუძლია, სად იყავით მაშინ,სტადიონებს რომ ანგრევდნენ და ხმას არ იღებდითო — ეს რეპლიკა ზოგიერთ ვეტერანს „ესროლა“ და უკვე კამათის ახალი ტალღა აგორდა.

ამის შემდეგ, ჟურნალისტებს საპრესკონფერენციო დარბაზი დაგვატოვებინეს, თუმცა ხმამაღალი საუბარი კიდევ დიდხანს ისმოდა. ხმების გარჩევაც საკმაოდ იოლი იყო და კამათი ძოძუაშვილ-არველაძეებს შორის შედგა.

ასეა თუ ისე, პრობლემაზე საუბარი შეწყდა თუ გაგრძელდა, ეს უკვე უცნობი დარჩა. ერთია, რამდენიმე პიროვნებასთან გასაუბრება მოვახერხეთ.

კახა კაჭარავა, თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი:

— ერთ-ერთ ტამაშში ჩემი გუნდიც ფიგურირებს, მაგრამ ღიად შემიძლია ვთქვა, რომ „დინამო“ არაფერ შუაშია (დინამო-ბაიას მატჩში ზუგდიდელებმა შეგნებულად „აიკიდეს“ პენალტი). ეს არის უმსგავსო ფაქტი და მისი ჩამდენი ფეხბურთელი საერთოდ უნდა მოიკვეთოს. „დინამოში“ არსებობს შინაგანაწესი, რომლის თანახმად ფეხბურთელს არა მარტო ტოტალიზატორში თამაში, არამედ მისი ბაზაზე ყოფნის დროს ხსენებაც კი ეკრძალება. საამისოდ ჯარიმები გვქვს დაწესებული — პირველ შემთხვევაზე 1.000 დოლარი, მეორეზე — 2.000 და მესამე შემთხვევისას გუნდიდან გაშვება.

უეფადან მოწერილ წერილში აღნიშნული მატჩებიდან 2 მათგანში ფიგურირებს ცხინვალის „სპარტაკი“, თუმცა დაკავებულთა შორის არც ამ გუნდის ფეხბურთელები არ არიან.

ბადრი კვარაცხელია, „სპარტაკის“ მწვრთნელი:

— პირველი მე ვითანამშრომლებ გამოძიებასთან. 2 მატჩში ჩემი გუნდია ნახსენები. ახლა კონკრეტულად ვერ ვიხსენებ იმ მატჩებს, მაგრამ ფირებს აუცილებლად ვნახავ და თუ ჩემი გუნდის ფეხბურთელს უმსგავსო საქციელი შევამჩნიე, არც ასაკი მაინტერესებს მისი და არც ავტორიტეტი — „სპარტაკში“ ველარ ითამაშებს და ჩემი აზრით, საერთოდ უნდა აეკრძალოს ფეხბურთის თამაში.

2 მატჩში ფიგურირებს ბოლნისის „სიონიც“, თუმცა დაკავებულთა შორის არც მათი ფეხბურთელია. ერთია, კადრების დროს აშკარად ისმის, რომ ბოლნისელი ფეხბურთელები (თუ ფეხბურთელი) ინფორმირებული უნდა იყონ, რომ ბურთები აუტში შეგნებულად გადაუშვან. ამას „სიონის“ დირექტორი ნუგზარ ლომთაძეც აღიარებს.

— ცხადია, თუ „ვიტ ჯორჯიას“ მეტი აუტი უნდა მოეწოდებინა, ამას თავად ვერ მოახერხებდა. სავრაუდოდ, დამხმარე ჩემს გუნდშიც ჰყავდათ და ეს უნდა გამოაშკარავდეს. ზუსტად უნდა იყოს ცნობილი, თუ ვინ და რამდენი ფეხბურთელი ეხმარებოდა დამნაშავეებს.

მოგვიანებით ჟურნალისტები დარბაზში ისევ შეგვიშვეს, სადაც უკვე სიწყნარე იყო, მაგრამ რეპლიკების გაცვლას ადგილი მაინც ჰქონდა. მთავარ ფიგურად ისევ ძოძუაშვილი იყო და ხანდახან საქმეში გოჩა მაჩაიძეცა და ვახტანგ კოპალეიშვილიც ჩანდა.

თუ რა გადაწყვეტილება მიიღეს და პრობლემა როგორ „მოაგვარეს“, მაინც უცნობი დარჩა. ერთია, ყველამ აღიარა, რომ ამ ფაქტს უნდა ებრძოლონ. რა წესებით, ამას მომავალი დაგვანახებს.

**რუბრიკა მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# სვეტიცხოველი იუბილარია

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში სვეტიცხოვლის დაარსებიდან 1700 და განახლების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო — პრაქტიკული კონფერენცია „ნორჩი ხელოვანების თვალით დანახული სვეტიცხოველი“ გაიხსნა. კონფერენციის პარალელურად, საგამოფენო სივრცე სამხატვრო ხელოვნების სკოლების ნამუშევრებსაც დაეთმო. ორივე ღონისძიება ქალაქ თბილისი მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის №1 სამხატვრო ხელოვნების სკოლისა და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ორგანიზებით მოეწყო.



კონფერენციასა და გამოფენაში მონაწილეობას იღებდა თბილისისა და რუსთავის ათამდე სკოლა, ასევე წეროვანის №3 საჯარო სკოლა. გამოფენაზე გამოტანილია გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები — თექა, ლითონსა და ხეზე ნაკვეთი ნამუშევრები. სვეტიცხოვლის დაარსებისა და მისი განახლების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, კი გამოიფინა სვეტიცხოვლის თემაზე შესრულებული ნახატები და ტაძრის მაკეტები. ღონისძიების ბოლოს მონაწილე სკოლების დირექტორებს, პედაგოგებს და მოსწავლეებს სიგელები გადაეცათ, თავად გამოფენა კი 11 მაისამდე გაგრძელდება.

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში „მოყვარულ ორიგამისტთა“ ნამუშევრების გამოფენაც გაიხსნა. ორიგამი იაპონური ტრადიციული ქაღალდის ხელოვნებაა, რომელიც სათავეს მერვე საუკუნიდან იღებს. გამოფენაში მონაწილეობდა 24 ადამიანი, როგორც თბილისიდან, ასევე რუსთავიდან და გორიდან. ორიგამისტთა ნამუშევრების გამოფენის მოწყობა უკვე ტრადიციაა და იგი ყოველი წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე ტარდება. გამოფენა სიონის სამრევლო სკოლასთან არსებული ორი გამის სკოლის ხელმძღვანელის ნათია ჭელიძის ორგანიზებით მოეწყო.

სვეტიცხოვლის იუბილეს პარალელურად, სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა ქართულ აფხაზურ ურთიერთობებსაც. ღონისძიება, სახელწოდებით „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები“, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეები. მოწვეული იყვნენ სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. კონფერენციაში მონაწილე მოსწავლეებს კი გადაეცათ სიგელები და სხვადასხვა საჩუქრები.

საპატრიარქოსთან არსებულმა ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრმა ასოციაცია „სათავისა“ და ფონდ „გაჯუსზ“-ის ერთობლივ შეხვედრასაც უმასპინძლა, რომელიც შეეხებოდა საგარეჯოს რაიონის უნარშეზღუდული ადამიანების დახმარების თემას. აქვე მოხდა ქართულ-პოლონური პროექტის „პირველი ნაბიჯები“-ს წარდგინება. პროექტი „პირველი ნაბიჯები“ ხორციელდება ასოციაცია „სათავისა“ და ფონდ „გაჯუსზ“-ის მიერ, ასევე პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით „პოლონური დახმარება 2011“- ის ფარგლებში. „პირველი ნაბიჯების„ მიზანია ცერემბლარული დამბლით დაავადებულ ბავშვთა დახმარება და რეაბილიტაცია. 3 წლის მანძილზე ამ პროექტის საშუალებით 15 ბავშვის ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა.

# პატრიარქის ნათლულთა რეგისტრაცია იწყება

6 მაისიდან უკვე მეჩვიდმეტედ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მომავალი ნათლულების რეგისტრაცია დაიწყება.

მისი უწმინდესობის ნათლული გახდება ჯვარდაწერილ ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და მომდევნო შვილი. ყველა მსურველი რეგისტრაციას ტრადიციულად საპატრიარქოს საქველმოქმედო ფონდში „ლაზარე“ გაივლიან. რეგისტარცია 6, 7 და 8 მაისს იწარმოებს.

ილია მეორემ განაცხადა, რომ მეოთხე შვილის ნათლიაც თავად იქნება, თავის ნათლულს იგი ეკლესიის ტახტის მცველის წოდებას მიანიჭებს. ეს ინიციატივა მისმა უწმინდესობამ 2008 წლის 19 იანვარს ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაულზე გაახმაურა. საქართველოში დემოგრაფიული პრობლემის გაუმჯობესების მიზნით, ილია მეორემ განაცხადა, რომ ყველა ჯვარდაწერილი მეუღლეების მესამე და მომდევნო შვილების ნათლია გახდებოდა. ინიციატივა ძალიან წარმატებული გამოდგა. ამ დრომდე გაიმართა უკვე 16 საჯარო ნათლობა. ბოლო საყოველთაო ნათლობა 3 მარტს დედების დღესა და წმინდა შიო მღვიმელის ხსენების დღეს სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდა. პატრიარქი კიდევ 370 ბავშვის ნათლია გახდა. ბოლო მონაცემებით, პატრიარქის ნათლულთა რიცხვი 8 ათასს აჭარბებს.

თუ როდის ჩატარდება მე-17 საყოველთაო ნათლობა, ამის შესახებ ფონდ „ლაზარეში“ ინფორმაციას ჯერჯერობით არ ფლობენ.

# გაეცანით იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სამზრუნველო ფონდს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სამზრუნველოს ფონდი, რომლის შესახებ ინფორმაცია ფონდების ყოველკვირეული მიმოხილვის ფარგლებში ქვეყნდება. იმერეთის ეპარქიის საეკლესიო სამზრუნველოს ფონდი მოიცავს 582 შესანახ ერთეულს. საეკლესიო სამზრუნველო დაარსდა 1881 წლის 9 იანვარს და ლიკვიდირებული იქნა 1918 წლის 5 აგვისტოს.

ფონდში ინახება მასალები მღვდელმსახურთა მამულებსა და ქვრივ□ობლებისათვის მეურვეობის დაწესებაზე, მღვდელმსახურთა მიერ სამზრუნველოსთვის ფულად შემოწირულობებზე, გურია-სამეგრელოს ეპარქიაში განსაკუთრებული სასულიერო სამზრუნველოს დაარსებაზე. მასში დაცულია შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, დოკუმენტები იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის მიერ სამზრუნველოს თანამშრომელთა დანიშვნის შესახებ, ნებართვები სხვადასხვა პირზე მათი მამულების გაყიდვის შესახებ, თხოვნები დახმარების მიღებაზე, გარდაცვლილი მღვდლების დარჩენილი ქონების აღწერები, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მიერ გაცემული ინფორმაცია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში დასაქმებულ ადმინისტრაციულ პერსონალზე.ფონდს საქმეების მიხედვით აქვს დართული პირთა ალფავიტური საძიებელი, რაც დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს სწრაფად მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

ფონდების ყოველკვირეული მიმოხილვის პარალელურად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში სტაჟიორთა მიღების მორიგი ეტაპი გამოცხადდა. შესარჩევ კონკურსში მონაწილეთა საბუთების მიღება უკვე დასრულდა. საკონკურსო კომისიას 100-ზე მეტმა მსურველმა მიმართა. კონკურსი მომავალ კვირას გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი განათლების მქონე პირები და უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები. საკვალიფიკაციო მოთხოვნებია — სახელმწიფო ენის, ეროვნული არქივის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ცოდნა და კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები. სტაჟირების მსურველთა დიდი რაოდენობის გამო კონკურსს დაემატა ტესტირება ზოგად უნარ-ჩვევებში. სტაჟიორები, რომლებიც კონკურსის შედეგების მიხედვით შეირჩევიან, 3-დან 6 თვემდე ვადით სტაჟირებას გაივლიან — სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკაში, საისტორიო, უახლესი ისტორიისა და კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივებსა და თბილისის არქივში. მათ საშუალება ექნებათ, გაიღრმავონ თეორიული ცოდნა, ამასთან, გაეცნონ საარქივო საქმიანობის პრაქტიკული მხარეს. პროგრამის დასრულების შემდეგ წარმატებულ სტაჟიორებს გადაეცემათ სერტიფიკატები. სტაჟირების პროგრამა 2011 წლის მაისიდან დაიწყება.

# მაისის პირველი კვირა კულტურული მემკვიდრეობის დღეა

გასული წლის შემოდგომაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ საზოგადოებას ახალი ინიციატივა გააცნო — პრეზიდენტის ბრძანებულებით ყოველი წლის მაისის პირველი კვირა კულტურული მემკვიდრეობის დღედ გამოცხადდა.

ნიკოლოზ რურუას განცხადებით, ამ დღეს ყველა მუზეუმი თუ გალერეა მთელი დღის განმავლობაში ღია იქნება და ხელოვნების მოყვარულ საზოგადოებას ჩვენს საცავებში დაცული უნიკალური ექსპონატების დათვალიერება სრულიად უსასყიდლოდ შეეძლებათ.

ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გამოფენა და კონფერენცია გაიხსნა. ამჯერად კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ აქცენტი აფხაზეთზე გააკეთა და საზოგადოებას შესთავაზა აფხაზეთში მდებარე სულიერი მემკვიდრეობა და ქართული სალოცავები.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილის გადაწყვეტილებით, გამოფენა და კონფერენცია „აფხაზეთის სულიერი მემკვიდრეობა — ქართული სალოცავები“ სახელწოდებით გაიმართა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო აფხაზეთში არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ამსახველი ფოტოები. საკონფერენციო თემები მიეძღვნა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული მატერიალური ძეგლების დაცვის სამართლებრივ ასპექტებს, შუა საუკუნეების აფხაზეთის წერილობით კულტურას, ტრადიციებს, რიტუალებს და, ბუნებრივია, აფხაზეთში არსებულ ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

ღონისძიება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებით განხორციელდა.

# უნიკალური ექსპონატები ქუთაისში გამოიფინება

2 მაისს ქუთაისქალაქობის დღესასწაულია. ეს ტრადიცია სათავეს ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან იღებს. ბოლო ორი წელია მეუფე კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით ქუთაისქალაქობის დღესასწაულს ამ რეგიონში მომქედი ყველა ტაძრის ზარები გაბმული რეკვით ამცნობენ საზოგადოებას.

ქუთაისქალაქობის ფარგლებში დაგეგმილია გამოფენები, კლასიკური და საესტრადო კონცერტები, პერფორმანსები, მოდების ჩვენება და დოლი. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლი „იმედი“. ორი ქუთაისელი დიზაინერის მიერ შექმნილ გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებს კი სამოდელო სააგენტო „ნიუ ფეისის“ ადგილობრივ ფილიალში გაერთიანებული მოდელები წარმოადგენენ. სახალხო დღესასწაული, ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, ძველ ქალაქს მოიცავს და სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა ღონისძიებები გაიმართება. ადგილობრივი მოსახლეობა ქუჩებში ფაეტონებითა და ცხენებით ისეირნებს. ამავე დღეს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის რეაბილიტაცია დაიწყება, საფუძველი ჩაეყრება ახალი მშენებლობების დაწყებას, ქუთაისქალაქობაზე სტუმრებს რეგიონის ყველა რაიონიდან ელოდებიან.

საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის ხელმძღვანელი გიორგი კალანდია კი ქუთაისელებს ამ დღესასწაულზე უნიკალურ ექსპონატებს გაუგზავნის, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის, ზაქარია ფალიაშვილის, მელიტონ ბალანჩივაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს. სპეციალურად ამ დღესასწაულისთვის ქუთაისში გამოიფინება პეტრე ოცხელის ესკიზების ორიგინალები, ზაქარია ფალიაშვილის „დაისის“ ტომი კი დამთვალიერებლის წინაშე პირველად იქნება წარდგენილი. „უცნობი და ნაცნობი ქუთაისელები“ — ასე ჰქვია პროექტს, რომელიც ყველა იმ გამოჩენილ ადამიანს აერთიანებს, რომელთა ცხოვრება და შემოქმედება ქუთაისთან იყო დაკავშირებული.

სახალხო დღესასწაულზე ქუთაისში ათასობით სტუმარს და საერთაშორისო დელეგაციებს ელოდებიან. დღესასწაულის ბოლოს ჯგუფების „შინი“ და „მგზავრები“ კონცერტი გაიმართება. უკვე ცნობილია, რომ „მგზავრები“ ქუთაისელ მსმენელს ოთხი ახალი სიმღერის პრემიერას შესთავაზებენ. ქუთაისქალაქობა გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდება.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ხართ თუ არა დაკვირვებული?

ტესტი



***1. როდესაც რომელიმე ორგანიზაციაში შედიხართ, ყურადღებას აქცევთ:***

ა. სკამებისა და მაგიდების განლაგებას. ბ. ნივთების ზუსტ მდებარეობას. გ. კედლებზე დაკიდებულ სურათებს.

***2. ადამიანს რომ ხვდებით:***

ა. თვალებში უყურებთ. ბ. შეუმჩნევლად თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერებთ. გ. მხოლოდ სახის გარკვეულ ნაწილებს უყურებთ.

***3. რა გამახსოვრდებათ ნანახი პეიზაჟიდან?***

ა. ფერები. ბ. ცა. გ. განწყობილება.

***4. დილით რომ იღვიძებთ:***

ა. გახსენდებათ, რა გაქვთ გასაკეთებელი. ბ. გახსენდებათ, რა დაგესიზმრათ. გ. იხსენებთ, რა მოხდა გუშინ.

***5. ქუჩაში:***

ა. აკვირდებით ტრანსპორტს. ბ. აკვირდებით მათ, ვინც ახლოს დგას. გ. ახლოს მდგომებს საუბარს უბამთ.

***6. ვიტრინას რომ უყურებთ:***

ა. აკვირდებით, რა შეიძლება გამოგადგეთ. ბ. ეძებთ იმას, რაც ამჟამად გჭირდებათ. დ. თითოეულ ნივთს გულდასმით აკვირდებით.

***7. ღამით კარგ ამინდში:***

ა. ეძებთ ნაცნობ თანავარსკვლავედებს. ბ. უბრალოდ, ცას შეჰყურებთ. გ. საერთოდ არ უყურებთ ცას.

**პასუხები**

**6-11 ქულა:** დაკვირვებული ხართ, ამჟღავნებთ მოვლენების არსში წვდომის უნარს.

**12-16 ქულა:** საკმაოდ დაკვირვებული ხართ, თუმცა ხანდახან საგნებისა და მოვლენების შეფასებისას წინასწარგანწყობის მსხვერპლი ხდებით.

**17-21 ქულა:** დაკვირვებულობით ვერ დაიტრაბახებთ.

**გ.თ.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამხრეთ კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. შამფურზე შემწვარი ხორცი; 3. ეპიკური პოემა „ილიადას“ ავტორი; 4. ყოველდღიური გაზეთი საფრანგეთში; 6. საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირი; 8. დოსტოევსკის რომანი; 11. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 12. ქართული რადიო; 16. ბოჭკოვანი ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო კულტურა; 17. შთამომავლობის თითოეული საფეხური; 18. კლოუნის მიერ შესრულებული ყალბი, ხმაურიანი სილა ცირკში.

**თარაზულად:** 1. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 5. წნული მეგრული ქოხი; 7. ღვინის შემრჩევი კლიენტთათვის მაღალი კლასის რესტორანში; 9. ცხვრის საკრეჭი დიდი მაკრატელი; 10. რაიმე მოვლენის პროცესის მიზეზი, მამოძრავებელი ძალა; 13. ჰოლანდიის კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში; 14. ფრანგი კინორეჟისორი; 15. ჩეხური მოტოციკლეტი; 19. ტურისტთა კაპიუშონიანი ქურთუკი; 20. ტყუპი ცხოველის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ქართული მინერალური წყალი; 22. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 2. ფუტზალი; 3. გენერალი; 4. აგრონომია; 5. კრინი; 6. იყალთო; 8. პიროგა; 11. დებიუტი; 14. ალადასტური; 15. ტოპონიმი; 16. პოლინეზია; 17. სამაია; 19. გალუაზი; 21. ხარკი; 22. ბრაგა.

**თარაზულად:** 1. იფიგენია; 5. კერი; 7. პოპული; 9. სტენოკარდია; 10. ანდერძი; 12. ათაბაგი; 13. ჯამბაზი; 16. პატრიოტი; 17. სუვა; 18. აგუნა; 20. პლასტიკა; 22. ბრიჯი; 23. პუბლიკა; 24. ზანავი; 25. კუპრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დუნსტი; 2. იდალგო; 3. ტეშენიტი; 4. პრიორი; 6. ბაბილონი; 8. სმერჩი; 11. ქობულაძე; 12. კონუნგი; 16. ლუარა; 17. კიოტო; 18. პუდრი.

**თარაზულად:** 1. დომინგო; 5. შტაბი; 7. კელნერი; 9. სლალომი; 10. გოდერძი; 13. ჩარტერი; 14. როგანი; 15. გოია; 19. გუდაური; 20. ჭიაურელი; 21. ბანდეროლი; 22. ბემოლი.

# სილვიო ბერლუსკონი სასამართლოში გამოცხადდა



იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი მილანში სასამართლო პროცესზე, მის წინააღმდეგ კორუფციის ბრალდებების განხილვაზე გამოცხადდა.

ბერლუსკონიმ მისთვის წაყენებულ ბრალდებებს წმინდა წყლის ფანტაზიები უწოდა.

ეს საქმე, რომელიც პრესამ „მედიატრეიდის" მეტსახელით მონათლა, პრემიერ-მინისტრისათვის წაყენებული ოთხი სარჩელიდან ერთ-ერთია.

სილვიო ბერლუსკონი უარყოფს ბრალდებებს, თითქოს იგი ტელეპროგრამების უფლებების შესყიდვის ხარჯებს განზრახ ზრდიდა და სხვაობას თავისი პოლიტიკური კამპანიების ფინანსირებისა და სხვა მიზნებისათვის იყენებდა.

ამ საქმეში, გარდა სილვიო ბერლუსკონისა, მისი ვაჟი და კიდევ რამდენიმე პირი ფიგურირებენ.

მიმდინარე წლის 28 მარტს სილვიო ბერლუსკონი სასამართლო დარბაზში წინასწარი განხილვის დროს მიიწვიეს. შვიდი წლის განმავლობაში იგი სასამართლოში პირველად მივიდა.

ამ საქმესთან დაკავშირებით იგი სასამართლოში მეორედ გამოცხადდა. პროცესი დახურულ კარს მიღმა გაიმართა. შედეგების მიხედვით სასამართლომ საქმის გაგრძელება-შეწყვეტის საკითხი უნდა გადაწყვიტოს.

მიმომხილველების თქმით, ბერლუსკონი სასამართლოში ყოველი გამოჩენის დროს შემთხვევას არ უშვებს ხელიდან და აკრიტიკებს მოსამართლეებს, რომლებიც მისი პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ.

ბერლუსკონის არც ამჯერად დაურღვევია ტრადიცია. მისი თქმით, ქვეყნის დემოკრატიაში რაღაც რიგზე არ არის, თუ იგი მთავრობის ხელმძღვანელის დამცირებისა და მისი რამდენიმე საათით სასამართლოში დაყოვნების შესაძლებლობას იძლევა, მაშინ როდესაც მსოფლიოში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება.

გარდა „მედიატრეიდისა", ბერლუსკონი კორუფციის კიდევ ორი საქმის ფიგურანტია, ერთ საქმეში კი მას არასრულწლოვანი მეძავის მომსახურების ანაზღაურებისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებები აქვს წაყენებული. ამ ბოლო სარჩელთან დაკავშირებით, დამნაშავედ აღიარების შემთხვევაში, მას 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

ბერლუსკონი ყველა ბრალდებას უარყოფს.

# პაკისტანი ბინ ლადენის მხარდაჭერის ბრალდებებს უარყოფს

პაკისტანის პრეზიდენტმა ასიფ ალი ზარდარიმ უარყო წაყენებული პრეტენზიები, თითქოს მისი ქვეყანა ტერორიზმის წინააღმდეგ არასაკმარისად აქტიურად იბრძვის.

სტატიაში, რომელიც ამერიკულმა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა, ზარდარი აცხადებს, რომ პაკისტანი, შესაძლოა, ტერორიზმისაგან სხვა ქვეყნებზე მეტად ზარალდება.

ზარდარის განცხადება უკავშირდება აშშ-ის საზღვაო ქვეითების ოპერაციას, რის შედეგადაც უსამა ბინ ლადენი იქნა მოკლული. ვაშინგტონისა და ისლამაბადის განცხადებით, ეს ოპერაცია პაკისტანის ხელისუფლების ნებართვისა და მონაწილეობის გარეშე წარიმართა.

აშშ-ის სპეცწარმომადგენელმა ავღანეთსა და პაკისტანში, მარკ გროსმანმა სამშაბათს გამართული პრესკონფერენციის დროს, რომლის დროსაც იგი ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შეხვდა, ოპერაციის დეტალების შესახებ არ ისაუბრა.

მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ უსამა ბინ ლადენის სიკვდილი პაკისტანის, ავღანეთისა და აშშ-ის ერთობლივი მიღწევაა და ეს სამი ქვეყანა ექსტრემიზმის განადგურების პოლიტიკის ერთგული რჩება.

პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სალმან ბაშირმა განაცხადა, რომ უაზრობაა იმის გამორკვევა, მონაწილეობდა თუ არა პაკისტანი უსამა ბინ ლადენის წინააღმდეგ მისიაში.

მისი თქმით, ამას მნიშვნელობა არც აქვს, ბინ ლადენის საკითხი დახურულია და ქვეყანამ მომავლისაკენ წინსვლა უნდა გააგრძელოს.

აშშ-ის ოფიციალური პირები მანამდე აცხადებდნენ, რომ უსამა ბინ ლადენს პაკისტანში მხარდამჭერისა და მომარაგების სქემა ჰქონდა ორგანიზებული.

54 წლის უსამა ბინ ლადენი ალ კაიდას დამფუძნებელი და ლიდერი იყო. მას მიიჩნევენ ნიუ იორკსა და ვაშინგტონში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი თავდასხმების ორგანიზატორად.

იგი აშშ-ის ყველაზე ინტენსიურად ძებნილ პირთა სიაში იმყოფებოდა, მაგრამ 10 წლის განმავლობაში დაპატიმრებას თავს არიდებდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, აშშ-ის ოფიციალური პირები 99.9%-ით არიან დარწმუნებული, რომ აბოტაბადში დახურულ და გამაგრებულ კომპლექსში მიმდინარე ოპერაციის შედეგად დაღუპული ადამიანი ნამდვილად უსამა ბინ ლადენია.

მისი ცხედარი იმავე დღეს ზღვაში დაკრძალეს. ამერიკელების თქმით, დაკრძალვის პროცესი ვიდეოზეა აღბეჭდილი, თუმცა, არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, აპირებენ თუ არა რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნებას.

აშშ-ის სპეცწარმომადგენელმა პაკისტანსა და ავღანეთში მარკ გროსმანმა, თავის მხრივ, უაზრო ყოველგვარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ უსამა ბინ ლადენი კვლავინდებურად ცოცხალია.

მისი თქმით, უსამა ბინ ლადენი პაკისტანში სპეცდანიშნულების რაზმების ხელით დაიღუპა. შესაბამისი განცხადებით გამოვიდნენ როგორც აშშ-ის პრეზიდენტი ბარაქ ობამა, ასევე სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი.

იგივე ითქვა აგრეთვე პაკისტანის მთავრობის განცხადებაში.

იმავდროულად, პაკისტანის დაზვერვის „აისიაის" წარმომადგენლებმა ოპერაციის გარკვეული დეტალების შესახებ ისაუბრეს.

მათი თქმით, კომპლექსში, რომელსაც ამერიკელმა სპეცრაზმელებმა შეუტიეს, 17-18 ადამიანი იმყოფებოდა.

ოპერაციის შემდეგ ამერიკელებმა კომპლექსი უსამა ბინ ლადენის გვამით დატოვეს, თან წაიყვანეს ერთი ცოცხალი ტყვე.

კომპლექსში ოთხი გვამი დარჩა. ცოცხლად დარჩენილთა შორის ასახელებენ უსამა ბინ ლადენის მეუღლესა და ქალიშვილს, ასევე



კიდევ რვა ბავშვს.

უსამა ბინ ლადენის უმცროსმა ქალიშვილმა დაადასტურა, რომ მამამისი მოკლეს და თქვა, რომ ეს მან საკუთარი თვალით ნახა.

აბოტაბადში შენობების კომპლექსი, სადაც უსამა ბინ ლადენი მოკლეს, პაკისტანის მნიშვნელოვანი სამხედრო აკადემიიდან რამდენიმე ასეული მეტრით არის დაშორებული.

აშშ-ის ტერორიზმთან ბრძოლის სამმართველოს მოხელეების თქმით, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ უსამა ბინ ლადენს პაკისტანში მომარაგებისა და მხარდაჭერის სისტემა არ გააჩნდა.

პაკისტანის პრეზიდენტ ასიფ ზარდარის არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა, რომ ბინ ლადენი პაკისტანში შედარებით კომფორტულად ცხოვრობდა. მან მხოლოდ ის განაცხადა, რომ უსამა ბინ ლადენი არ გამოჩენილა რომელიმე ისეთ ადგილას, სადაც მას ხელისუფლები მოელოდნენ.

მიმომხილველები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ პაკისტანელი ხელისუფლები ხაზგასმით აღნიშნავენ, უსამა ბინ ლადენის მკვლელობასთან პაკისტანს კავშირი არ ჰქონია.

მათი ვარაუდით, პაკისტანის ხელისუფლებს მეამბოხეების შურისძიებისა ეშინიათ.

პაკისტანს ძნელად მისადგომ რაიონებში, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს და სადაც ძალაუფლება ტომების უხუცესების ხელშია, უსამა ბინ ლადენი გმირად არის შერაცხული.

უსამა ბინ ლადენის წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციას პრეზიდენტი ბარაქ ობამა და მისი უახლოესი გარემოცვა ვიდეოს საშუალებით რეალურ დროში ადევნებდნენ თვალს.

ოპერაციაში 25 საზღვაო ქვეითი მონაწილეობდა. ისინი პაკისტანში ავღანეთიდან ჩავიდნენ ოთხი ვერტმფრენის საშუალებით. ქვეითი ჯარისკაცები შენობის სახურავზე დაეშვნენ. უსამა ბინ ლადენი საძინებელ ოთახში იპოვეს, რის შემდეგაც ბრძოლა დაიწყო.

სროლის დროს უსამა ბინ ლადენი დაიღუპა. ტყვია მას თავში მოხვდა.

გავრცელებული ცნობების თანახმად, მისი ცხედარი ამერიკულ ავიამზიდზე გადაასვენეს და უცნობ ადგილას მუსლიმანური რიტუალების დაცვით ზღვაში დაკრძალეს.

ოპერაციის დროს დაიღუპნენ თავად ბინ ლადენი, მისი ვაჟი ხალიდი, პირადი შიკრიკი, ნდობით აღჭურვილი პირი შეიხ აბუ აჰმედი, მისი ძმა, აგრეთვე ქალი, ვისი ვინაობაც არ დაუდგენიათ.

უსამა ბინ ლადენის მკვლელობის ინფორმაციის გამოცხადებისა და ამერიკის ქალაქების ქუჩებში აღტაცების მასობრივი გამოვლინების შემდეგ ოფიციალურმა პირებმა გაავრცელეს განცხადება, რომელშიც განაცხადეს, რომ ტერორისტული თავდასხმების საფრთხე კვლავინდებურად არსებობს და „ალ კაიდა" ლიდერის მოკვლისათვის შურისძიებას შეეცდება.

აშშ-ის ყველა საელჩოსა და აეროპორტში უსაფრთხოების ზომები გაამკაცრეს.

პაკისტანში დახურული რჩება აშშ-ის საკონსულოები ლაჰორსა და ფეშავარში, თუმცა, საელჩო ისლამაბადში და საკონსულო ყარაჩიში კვლავინდებურად მუშაობენ.

# მეტეოროლოგებმა აშშ-ის ტორნადოები უპრეცედენტოდ მიიჩნიეს



ტორნადოების სერია, რომელიც აშშ-ის სამხრეთ შტატებს აპრილის ბოლოს დაატყდა თავს, ქვეყნის ისტორიაში უპრეცედენტო იყო.

აშშ-ის მეტეოროლოგიური სამსახურის ინფორმაციით, 25-28 აპრილს აშშ-ს 362 ტორნადო დაატყდა თავს, მათგან 312 ერთი — დღე-ღამის განმავლობაში.

წინა რეკორდი აშშ-ში 1974 წელს დამყარდა. მაშინ ორი დღე-ღამის განმავლობაში 148 ტორნადო დაფიქსირდა.

ტორნადოების შედეგად მისისიპის, ალაბამის, ჯორჯიის, ტენესის, ვირჯინიის, ლუიზიანის, კენტაკის შტატებში მინიმუმ 350 ადამიანი დაიღუპა.

ყველაზე მეტად ალაბამის შტატში საუნივერსიტეტო ქალაქი ტუსკალუსა დაზარალდა, სადაც 65 ადამიანი დაიღუპა.

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, მხოლოდ ნანგრევების გაწმენდის ხარჯებმა მინიმუმ 70 მილიონ დოლარს შეიძლება მიაღწიოს. ძლიერმა ქარებმა და ტორნადოებმა არაერთი საცხოვრებელი სახლი და სხვა ნაგებობა დაანგრიეს, ძირფესვიანად ამოგლიჯეს ხეები, დაწყვიტეს ელექტროგადამცემი ხაზები.

ალაბამის შტატში მილიონამდე ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.

ყველაზე დიდი ტორნადოს ფრონტის სიგანე 2.4 კმ-ს შეადგენდა და მან 130 კმ სიგრძის ზოლი დააზიანა.

ქვეყნის ხელისუფლები მოსახლეობას აღდგენითი სამუშაოებისათვის სახსრების ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფას დაჰპირდნენ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილი ნინო, და ციცო, დისშვილები, ძმისშვილები, ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ცუცა კიკნაძე-გოგუაძე**



პანაშვიდი: 3, 4 მაისს, 17 საათზე;

დაკრძალვა: 5 მაისს, 14 საათზე;

მისამართი: სოფელი გლდანი, რაზმაძის ქ.№4.

## ნაირა წილოსანის გახსენება



ძვირფასო ნაირა, უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენ შორის აღარ ხარ. ძალიან გაუჭირდათ მამაშენსა და შენს დას უშენობა.

ყველას დაგვაკლდა შენი სიხალისე. წესიერად და პატიოსნად იცხოვრე, გიყვარდა ყველა და გულით განიცდიდი მათ ჭირ-ვარამს.

გვჯერა, რომ ღმერთი სასუფეველს დაგიმკვიდრებს. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია.

*მამა გურამი, და რუსუდანი, ბიძები და მამიდები ოჯახებით*

## დოდო აბაშიძე-გრიგოლიას გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი და მარადიულ სასუფეველში დაიდე ბინა.

სიყვარულის გარემოში აღზრდილი, შვილითა და შვილიშვილებით ხარობდი. ისინი ყოველთვის თბილად გიხსენებენ.

ჩვენ ყველანი ვგრძნობთ, რომ ზეციდან არ გვაკლებ მხარში დგომასა და მფარველობას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

*დედა*

გრიბოედოვის ქუჩა №20-ში მცხოვრებნი ჯემალ გაბისონია, ნათელა, ნანა პატარკაციშვილები, სანდრო ამაშუკელი ოჯახებით იუწყებიან უსათნოესი ქალბატონის

**ლეილა სხირტლაძის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 4 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** **ფეხბურთი**. საქართველოს თასის განმ. ნახევარიფინალი. ზესტაფონი-ტორპედო **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.00** მხ. ფილმი **"პირველი რაინდი"** (შ. კონერი) **01.20** მოამბე **01.40** ევროპული არჩევანი **02.40** ჩვენი ეზო **03.40** მხ. ფილმი **"ბობი ჯონსი გოლფის გენიოსი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ყველა წესის დარღვევით"** **01.00** მხ. ფილმი **"გაქცევა აბსოლომიდან"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმტყუნებული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **22.40** **ჩემპიონთა ლიგა**. **00.40** პატრული **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.20** მხ. ფილმი **"ძირითადი ინსტინქტი"** (18)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.45** შეგირდი **00.15** პოკერ რინგი **01.00** მხ. ფილმი **"ბრილიანტის ამბავი"** (12) (ბ. ჰოვარდი) (სუბტ.) **03.05** მხ. ფილმი **"ტერმინატორი 3"** (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"დიდი გასეირნება"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მზე შემოდგომისა"** **13.30** კონცერტი – მ. დოიჯაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ცისკარა"** **16.40** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"სამანიშვილის დედინაცვალი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** დოკ. ფილმი "ხილული სასწაულები" **22.20** ქართული ალბომი **22.35** გზა, რომლითაც ვიარე **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** სუფთა დაფა **00.45** მხ. ფილმი **"მხოლოდ ერთხელ"** **01.40** კონცერტი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6447 |
| ევრო | —2,3896 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,6943 |
| რუსული რუბლი | — 0,0584 |

## ამინდის პროგნოზი 4 მაისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-24, ღამით — 11-15

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 23-26, ღამით — 14-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-29, ღამით — 5-12








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# ქოქუაშვილმა პრესკონფერენცია კინაღამ ჩაშალა

**ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში აგორებული სკანდალი გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაგრ ელდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჟურნალისტებს, ვეტერანებსა და გულშემატკივრებს თხოვნით მიმართა, შეკრებილიყვნენ და შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში დახმარებოდნენ.**



შეხვედრა საკმაოდ წყნარად დაიწყო, მაგრამ ხმაურიანი გაგრძელება მოჰყვა. თუმცა, ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ.

ფედერაციის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა კადრები, სადაც ჩაწყობილ თამაშებში და ტოტალიზატორებთან კავშირში მყოფი ფეხბურთელები გარიგებებს აწარმოებდნენ. როგორც იცით, ამ ფაქტის გამო 5 ფეხბურთელი იქნა დაკავებული. საქმეში 3 მატჩი ფიგურირებდა — „ვიტ ჯორჯია“-„სიონი“, „სიონი“-„სამტრედია“ და „დინამო“-„ბაია“.

თუმცა, სიჭინავამ კიდევ ერთი ახალი ამბავიც გვამცნო — უეფადან ფეხბურთის ფედერაციაში მივიდა წერილი, სადაც ევროპული საფეხბურთო მმართველობა ყურადღების გამახვილებას კიდევ 3 მატჩზე ითხოვს. 21 ნოემბერს გამართული „ვიტ ჯორჯია“-„სპარტაკი“, ამავე გუნდების მიერ 1 დეკემბერს გამართული სათასო მატჩი და 12 თებერვალს გამართული „კოლხეთი“-„სამტრედია“. წერილს თან ახლდა ერთი აზიური ტოტალიზატორის კოეფიციენტები, რომლის მიხედვითაც, სავარაუდოდ, ხელმძღვანელობდნენ ფეხბურთელები, თუ მათთან დაახლოებული პირები. როგორც ირკვევა, თანხები იდებოდა ე.წ. „ცოცხალზე“ და მოთამაშეებმა ხელი საკმაოდ მოითბეს.

**ზვიად სიჭინავა:**

— მსგავსი წერილები უეფადან ადრეც მოვიდა და ამ კუთხით მუშაობა დავიწყეთ, თუმცა, სანამ ამ შემოქმედების შემსრულებლები არ დაიჭირეს და უტყუარი


გაგრძელება მე-9 გვერდზე




# იუმორი

ორი გოგონა სარკის წინ დგას. ერთი ტანისამოსს იზომავს, მეორე აფასებს.

— ეს ლურჯი ბლუზა არ მიხდება, სჯობს, მწვანე ჩავიცვა.

მოიზომა, დაიმანჭა:

— არ მომწონს შავი ქვედაბოლო, ვარდისფერს ჩავიცვამ.

მოიზომა დაიმანჭა.

— რა იყო, ახლა, რა, აღარ მოგეწონა? — ეკითხება მეგობარი.

— იცი, მგონი, უბრალოდ, ეს სახე არ მიხდება...

***

— ეს სპექტაკლი ნანახი მაქვს. გირჩევთ, მეორე აქტის შემდეგ წახვიდეთ.

— რატომ მეორის შემდეგ?

— პირველი აქტის შემდეგ გარდერობში დიდი თავპირისმტვრევაა ხოლმე...

***

— მამიკო, ათი თეთრი მომეცი.

— რად გინდა?

— იქნებ შეგრცხვეს, რომ შენს შვილს ჯიბეში მხოლოდ ათი თეთრი აქვს...

***

ორი ტიპი საუბრობს:

— იცი, ჩემს შვილს მერსედესი დავარქვი.

— რა სულელი ხარ!

— სამაგიეროდ, მერსედესი მყავს...

გ. თ.


# 2 მაისიდან

# იყიდება

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

100 წიგნი

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 4

# ჩერჩილი

მე-2 ნაწილი




გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი





ყველამ გაითვალისწინეთ!

შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, დაჯილდოვდებით კიდეც. **კურო** — საქმეს ბოლომდე მიიყვანეთ, პასუხისმგებლობა არ მოიხსნათ. **ტყუპები** — არ აყვეთ პროვოკაციას, თავი შეიკავეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — არ აჩქარდეთ, ყველაფერს მოასწრებთ. **ქალწული** — ახლობლები გეხმარებიან, დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა საჭირო არ არის. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფულს იშოვით. **თხის რქა** — იმიჯის შეცვლა სტიმულს მოგცემთ, შეხვედრაზე წახვალთ. **მერწყული** — თქვენი საქმე კარგად მიდის, შეძლებული ადამიანი გეხმარებათ. **თევზები** — გზიდან ვილაც ჩამოვა, მისგან ახალ ამბავს გაიგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი

**შვეულად:** 2. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 4. პირადი, წვრილმანი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 5. შუადღის საუზმე აშშ-ში; 6. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 8. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 11. საგზაო მშენებლობაში გამოყენებული ფისი; 14. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 15. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 16. მუსიკალური ბგერის ამაღლება ან დადაბლება; 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. პატარა სასაუზმე იტალიაში; 21. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. ხრახნული კონვეირი.

**თარაზულად:** 1. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; 7. ბელგიური ავიაკომპანია; 9. ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქალაქი სამეგრელოში; 12. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 16. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 20. პატარა ქირურგიული დანა; 22. წყნარი, უქარო ამინდი ზღვის სანაპიროზე; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი; 24. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში; 25. ბრიტანული არაყი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

